დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა (ნახაზი);
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის წესდება;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა - დამტკ. სამეურვეო საბჭოს ოქმით N2-07.09.2023;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023-2024 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა,
- შრომითი ხელშეკრულებები,
- სამეურვეო საბჭოს ოქმები,
- პედსაბჭოს ოქმები,
- კათედრის ოქმები,
- სკოლის დირექტორის ბრძანებები,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად, წესდების, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლა ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.
   სკოლას საშტატო ნუსხით ჰყავს დირქტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექთანი, 1 დარაჯი, 1 დამლაგებელი, 13 მასწავლებელი.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, თუმცა, დოკუმენტის შინაარსში მითითებულია სხვა სკოლის სახელწოდება. ხარვეზი: სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ფიქსირდებოდა სხვა სკოლის სახელწოდება, რაც ბადებდა საფუძვლიან ეჭვს, რომ სკოლის გუნდს გააზრებული არ ჰქონდა მოცემული დოკუმენტის შინაარსი და დანიშნულება.
   სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. მაგალითად, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება საავადმყოფო ბიულეტენზე ყოფნისას, დეკრეტული შვებულების შემთხვევაში ჩასანაცვლებელი კადრების არჩევა, რითაც სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. სკოლის შინაგანაწესი არაგულირებს დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოს სკოლამ თანამშრომლის ფუნქციების სხვაზე დელეგირება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები არ შეფერხდეს. შინაგანაწესში გათვალისწინებულია: სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მიცემის წესი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, დისციპლინური სახდელის დაკისრება/დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმა, გასაჩივრება, დისციპლინური წარმოების სპეციალური წესი, დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა და მოქმედების ვადა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ბიულეტენის, დეკრეტული შვებულების შემთხვევაში ჩასანაცვლებელი კადრების არჩევა, რითაც სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღრულია სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება. დაგეგმილია აქტივობები:

- ✓ მმართველობის სწორი და ეფექტური დელეგირება
- ✓ სკოლის დემოკრატიული მართვის პრინციპების დამკვიდრება
- ✓ სკოლის საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
- ✓ ფუნქციების გადანაწილება გუნდური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისათვის
- ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარება:
- ✓ პედაგოგთა საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა
- ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში, აქტიური ჩართულობა
- ✓ თანამშრომელთა წახალისებისა და მასტიმულირებელი სისტემის ამოქმედება
- ✓ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებსა და სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებულ პედაგოგთა და მოსწავლეთა წახალისება
- ✓ სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ორგანიზება/ სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება/განხილვა

სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის ბრძანება #2-56 "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის წესის დამტკიცების შესახებ". დოკუმენტში წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგია, პოლიტიკის ამოცანები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, ადამიანური რესურსების მართვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, დასკვნითი დებულებები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

3. სკოლაში პედაგოგების შერჩევა ხდება "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლა აცხადებს შიდა, ან გარე კონკურსს, აქვეყნებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ადგენს საკონკურსო კომისიას, რომელშიც ჩართულები არიან როგორც შესაბამისი კათედრის მასწავლებლები, ასევე რესურსცენტრის წარმომადგენლები, მასწავლებლის სახლის და პროფკავშირის წარმომადგენლები. სკოლას კონკურსის შედეგად შეემატა რამოდენიმე ახალი მასწავლებელი შესაბამისი რეგულეციების სრული დაცვით, გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების საფუძველზე. თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა) ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით.

ხარვეზი: პერსონალის პირად საქმეში წარსადგენი დოკუმეტების ჩამონათვალში (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) არ არის გათვალისწინებული ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა. შესაბამისად, პერსონალის დიდ ნაწილთან პირად საქმეებშიც, არ იძებნება აღნიშნული დოკუმენტები:

- ✓ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;
- ✓ უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

სკოლის თანამშრომლებს არ ჰქონდათ პირად საქმეებში წარმოდგენილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები. სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანამშრომელთა მიერ აღებული ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.

<u>ინდიკატორი 3.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

4. სკოლას ჰყავს 13 მასწავლებელი, მათგან 11 უფროსი, 2 წამყვანია. სკოლას საშტატო ნუსხით ჰყავს დირქტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, 1 ექთანი, 1 დარაჯი, 1 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში.

მასწავლებელთა პირად საქმეებში ჩანს, რომ მათ გავლილი აქვთ სახვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების ტრენინგები და კურსები.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გასულ სასწავლო წელს სკოლიდან წავიდა ხელოვნების მასწავლებელი, ხოლო ღია კონკურსების გამოცხადების ორჯერ მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა კანდიდატის შერჩევა ხელოვნების მასწავლებლის პოზიციაზე (არ შევიდა განაცხადები). ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა ხელოვნების მასწავლებელი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომელიც ჩაატარებდა შესაბამის გაკვეთილებს. სკოლამ ბოლო კონკურსი 2023 წლის 11 სექტემბერს გამოაცხადა https://teacherjobs.ge/-ზე.
მასწავლებელთა კვალიფიკაციები განსაზღვრულია სკოლის მიერ თანამშრომელთა მიღებისას გამოცხადებული კონკურსების პირობებში. ხარვეზი: თუმცა არ იყო განსაზღვრული სხვა თანამშრომლების კვალიფიკაციები. მაგალითად, საქმისმწარმოებლის, ბუღალტერის და ა.შ. სკოლას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციით სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 20 ნოემბერს #2-59 ბრძანებით დამტკიცებული "სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის პერსონალის კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები". დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და სტრუქტურულ ერთეულებს, მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესებსა და პროცედურებს, თითოეული სტრუქტურული ერთეულების მიმართ დადგენილ სამუშაო აღწერილობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, პერსონალის სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესს, პროფესიული განვითარებისა და გადამზადების პროგრამებს, თანამშრომელთა მოტივაციის სისტემას, თანამშრომელთა ხელშეკრულების კლასიფიკაციას და სხვა. აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით, <u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

5. სკოლა იყენებს გუნდური მუშობის პრინციპებს. სწორედ, გუნდური მუშაობის შედეგად განხორციელდა მისიის, ხედვის გადახედვა, ღირებულებების, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის, დასახული მიზნების, ამოცანების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადასინჯვის სისტემის შექმნა. სკოლის მმართველობითი რგოლია სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა. მასწავლებლები თანამშომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე კათედრებს შორისაც. ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების ჯგუფი. ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლას დაგეგმილი აქვს არაფორმალური განათლების აქტივობები და საგანმანათლებლო სასკოლო პროექტები, რის ფარგლებშიც აქტიურად ითანამშრომლობენ კათედრებიც და მასწავლებლებიც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესები. მოტივაციის ამაღლების მიზნით, დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- მადლობის გამოცხადება;
- სიგელით დაჯილდოება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
- დისც. პასუხისმგებლბის ვადაზე ადრე მოხსნა.

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ინტერვიუირებით დასტურდება, რომ სკოლაში აღიარებული და გაზიარებულია მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილებები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- საშტატო ნუსხა,
- EMIS ბაზის ამონაწერი თანამშრომელთა მონაცემებით,
- შრომითი ხელშეკრულებები,
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება,
- კონკურსის გზით მიღებული მასწავლებლის პორტფოლიო (ისტ-ის მასწავლებელი),
- ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ,
- მასწავლებელთა პირადი საქმეები,
- სკოლის დირექტორის ბრძანებები,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის ბრძანება #2-56 "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის წესის დამტკიცების შესახებ";*
- *სკოლის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ;*
- *სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 20 ნოემბერს #2-59 ბრძანებით დამტკიცებული "სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის პერსონალის კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები".*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლას აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება, სადაც იკვეთება, რომ გათვალისწინებულია სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების, მისი შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ხარისხის ჯგუფის ერთერთი მნიშვნელოვანი მოვალეობაა ზრუნვა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე.
   სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია:
   - ✓ პედაგოგთა საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა;
   - ✓ ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება);
   - ✓ ტრენინგ- სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა;
   - ✓ სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ორგანიზება/ სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება/განხილვა.

   მასწავლებელთა ინტერვიუირებით ირკვევა, რომ ეს პროცესები მიმდინარეობს პრაქტიკულად. ეს მექანიზმები იკვეთება პედასბჭოს, კათედრის ოქმებში. მაგალითად, კათედრებზე გათვალისწინებულია მასწავლებელთა მიერ გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვა, ურთიერთდასწრება, დაცვა და შესრულება, ურთიერთდასწრების შედეგების განხილვა და შეფასება, რითაც გამოვლინდება მასწავლებელთა საჭიროებები. ასევე გათვალისწინებულია საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი დირექტორისა და ხარისხის განვითარების ჯგუფის მხრიდან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლა მასწავლებელს სთავაზობს პროფესიული განვითარების როგორც შიდა, ასე გარე მექანიზმებს. მაგალითად, სკოლა ჩართულია USAID დაწყებითი განათლების პროექტში, რის ფარგლებშიც სკოლის დაწყებითი საფეხურის მათემატიკისა და ქართული ენის მასწავლებლებისგან შექმნილია სასწავლო ჯგუფები, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი დაგეგმვა, გაკვეთილების ჩატარება, უკუკავშირი და რეფლექსია. მასწავლებლები რაიმე კონკრეტული ტიპის პროფესიული განვითარების გეგმას არ ადგენენ, თუმცა მუდმივად ორიენტირებულნი არიან პროფესიულ განვითარებაზე.
   რაც შეეხება პროფესიული განვითარების გარე მექანიზმებს, პედაგოგების გადამზადება ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ, მასწავლებელთა საკუთარი ნებითა და შეხედულებით არჩეულ ტრენინგებზე დასწრებით. სკოლის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია სკოლის სხვა თანამშრომლების საჭიროებების დადგენისა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის რეგულაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ინდიკატინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. ხელშემწყობ აქტივობად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის მზაობა, დროულად მიაწოდოს მასწავლებლებს ინფორმაცია სხვადასხვა ტიპის ტრენინგებზე, ფორუმებსა და კონფერენციებზე, საგანმანათლებლო პროექტებსა და კონკურსებზე. მასწავლებლები ყოველ სასწავლო წელს გადიან მპგეც-ის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა სავალდებულო ტრენინგებს, უფროსი სტატუსის მქონე პედაგოგები 20 სთ, ხოლო წამყვანი მასწავლებლები 12 სთ.

   მასწავლებლების გარდა სკოლა ხელს უწყობს გაიარონ ტრენინგები სხვადასხვა პერონალმა: საქმისმწარმოებელმა, სკოლის ბუღალტერმა. მაგალითად, სკოლის ბუღალტერი ინტერვიუს დროს აღნიშნავდა, რომ აქტიურად თანამშრომლობს კასპის რესურსცენტრის ფინანსისტთან, ასევე რესურსცენტრიდან იღებენ ინფორმაციას ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ტრენინგებსა და სამუსაო შეხვედრებზე, რაშიც მუდმივად მონაწილეობს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. მასწავლებლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლაში ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში, მას სამუშაო გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარება დირექტორი, კათედრა. თანამშრომლები მიიღებიან გამოსაცდელი ვადით. სკოლაში ღია კონკურსის გავლის შედეგად შემოვიდა ისტ-ის მასწავლებელი. ის გამოხატავდა კმაყოფილებას სკოლის ადმინისტრაციისა და კოლეგების მხრიდან გამოჩენილი მახარდაჭერის გამო. ადმინისტრაციასა და კათედრებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა ახალ თანამშომლებს შესთავაზებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში ჩართულობას, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას, რაც კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ახალ თანამშრომელს ინტეგრაციაში.
   რჩევა: სასურველია, თუ სკოლა შეიმუშავებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის უფრო მკაფიო მექანიზმები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის მცდელობა აიმაღლონ პროფესიული უნარები თვითშეფასებისა და რეფლექსიების საფუძველზე, საჭირო რესურსების შეძენით (სკოლის ბიუჯეტის გათვალისწინებით). წახალისების ფორმებია ბრძანებით გამოცხადებული მადლობა, ერთჯერადი ფულადი პრემია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება,
- კონკურსის გზით მიღებული მასწავლებლის პორტფოლიო (ისტ-ის მასწავლებელი),
- ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ,
- მასწავლებელთა პირადი საქმეები,
- სკოლის დირექტორის ბრძანებები,
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები/სერთიფიკატები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.
- ინტერვიუ სკოლის ბუღალტერთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად.

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს განაწილებული აქვს თავისი ფუნქცია-მოვალეობები. სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექტორი, ასევე ხარისხის ჯგუფი. სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან არის დაკავშირებული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას:

კურიკულუმი შემუშავება - დანერგვა - დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება - გადასინჯვა და რევიზია.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის:

- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად.

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სკოლაში გათვალისწინებულია ანგარიშვალდებულების სისტემა: დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, მასწავლებლები-კათედრას, კათედრები-დირექციას. ეს პროცესი სკოლას საშუალებას მისცემს, მომავალი დაგეგმვისას გამოიყენოს მიღებული უკუკავშირი.
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დანერგვა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მხოლოდ ფრაგმენტული პროცესია. ამის გარდა სკოლაში უნდა ხორციელდებოდეს სხვა რიგი პროცესებისა, რაც გავლენას ახდენს სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე.
სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რაც მკაფიოდ და სისტემურად განსაზღვრავს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს.
ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2. სკოლის წესდებაში - სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სააპელაციო კომიტეტის, ადმინისტრაციის ფუნქციები და როლი მმართველობით პროცესებში. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება ძირითადი პროცესები - ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. აქედან ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ.
   სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება:
   - სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო;
   - სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები;
   - შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და პირობები;
   - შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
   - შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება;
   - დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა;
   - მოსწავლეების წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი;
   - მატერიალური პასუხისმგებლობა;
   - მოსწავლის ჩაცმულობის წესი;
   - შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები;
   - განცხადების/საჩივრის განხილვა;

   შინაგანაწესის მიზანია:
   - სკოლის საქმიანობისათვის ხელშეწყობა, სკოლის მისიის შესრულება და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი და მისი თანამდევი ურთიერთობის მოწესრიგება და კონტროლი;
- სკოლაში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;
- სასწავლო-სამუშაო დროის რეგულირება და რაციონალური გამოყენება;
- სკოლაში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის მოსწავლეთა ქცევის წესების მოწესრიგება და კონტროლი.

თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, სადაც იკვეთება სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესებიც. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია დამრიგებლის, კათედრების ფუნქცია-მოვალეობები და მათ მუშაობასთან დაკავშირებული პროცესები.
ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბუღალტერმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა (2023-2030), წლიური დაგეგმვა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება და ა. შ. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლის შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ შესული განცხადება/საჩივარი გატარდება რეგისტრაციაში და მათზე რეაგირება მოხდება კანონით გათვალისწინებული წესებით. **რჩევა: სასურველია ეს წესები დაკონკრეტდეს და მკაფიოდ მიეწოდოს სასკოლო საზოგადეობას.**

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საშუალება აქვს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სკოლის დირექტორთან, სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, დისციპლინურ კომიტეტთან. სასკოლო საზოგადოების ყველა მხარეს შეუძლია ისარგებლოს გასაჩივრების და აპელაციის უფლებით.
სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, თუმცა ეს სისტემა არ არის გაწერილი და გამოიხატება სკოლაში მიმდინარე სამუშაო პროცესებში;

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი უფლებების დაცვის შესახებ ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, ხოლო მასწავლებლებს - შინაგანაწესის გაცნობისას. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- მასწავლებელთა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები,
- მშობლებთან დასადები ხელშეკრულებები,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას სკოლა აქვეყნებს სკოლის პირველი სართულის ფოიეში განცხადებების დაფაზე და ასევე მის გვერდზე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები (მაგალითად სამეურვეო საბჭოს, დისც. კომიტეტის სხდომაზე მოწვევა). სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს სასკოლო საზოგადოებასთან უწყვეტ კომუნიკაციას. ტარდება საინფორმაციო შეხვედრები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჩატარდება მშობელთა კრებები, შეხვედრები მოსწავლეებთან. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების საუკეთესო საშუალებაა სკოლის ელექტრონული ჟურნალი https://onlineschool.emis.ge/, სკოლის ელ-ფოსტა, მესენჯერი.
ყოველი კვირის პარასკევს მოსწავლის მშობელს შეუძლია სკოლაში მოსვლა და მისთვის საჭირო ინფორმაციის მიღება, კლასის დამრიგებლები ყოველდღიურად აქტიურად თანამშრომობენ მოსწავლეთა მშობლებთან და აქვთ კომუნიკაცია ტელეფონის, სოც. ქსელის საშუალებით, რითაც სწრაფად მოეწოდებათ ინფორმაცია.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლის სამეურვეო საბჭო წარმოადგენს მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც ირჩევა სამ წელიწადში ერთხელ. ასევე, წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა.
ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ სკოლა მშობლებსაც შესთავაზებს თანამშრომლობის მრავალფეროვან აქტივობებს, სასკოლო პროექტებში ჩართულობას, მაქსიმალურად გაითვალისწინებს მათ ინიციატივებს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თანაბარი უფლებამოსილებით სარგებლობს სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **პედ. საბჭოს ოქმები,**
- **სამეურვეო საბჭოს ოქმები,**
- **სკოლის ელ ჟურნალი:** https://onlineschool.emis.ge/,
  - **სკოლის სოც. გვერდი:** https://www.facebook.com/profile.php?id=100093055864252
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლას აქვს ქონების მიღება-ჩაბარების აქტი N-GOG/ET/CW-081-1, რომელსაც ახლავს კასპის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება KA990194762114520 -15/10/2020, ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების აქტით. მოცემული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ნებადართულია სკოლის შენობის გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის.

სკოლა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით: ცეცხლმაქრებით, ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებითა და სახანძრო ინვენტარით. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი. 2021 წლის 29 აპრილს სკოლამ მიიღო სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N265. სკოლამ 2021-2022 წლებში შეასრულა დიდი ნაწილი მიწერილობით მიცემული რეკომენდაციებისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხარვეზი: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მხრიდან აღარ გადამოწმებულა განხორციელებული ღონისძიებების შესრულების შესაბამისობა მიწერილობასთან, შესაბამისად, სკოლას არ აქვს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
სკოლას არ აქვს შემუშავებული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
სკოლას არ აქვს შიდა სამეთვალყურეო კამერები, შესაბამისად, ვერ ხერხდება შიდა სივრცის (დერეფნის) ზონების მუდმივი გაკონტროლება.
სკოლის ტერიტორიაზე მოქმედებს 6 გარე ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა. სამეთვალყურეო კამერებით სკოლის გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება.
სკოლაში მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. ექსპერტთა ვიზიტის დროს დათვალიერებითა და ექთანთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და სამუშაო პროცედურები ბრძანების შესაბამისია. სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რადგანაც სოფელში არსებობს ექიმის კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დეფიციტი.
რჩევა: სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვის მიზნით, სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, არ იყო შემუშავებული და შეთანხმებული შსს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლას არ ჰქონდა შიდა სამეთვალყურეო კამერები. სკოლამ მოგვიანებით, არგუმენტირებული პოზიციით, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რითაც განსაზღვრა, რომ 2023 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოფს:

- ✓ ***სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებას;***
- ✓ ***საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შემუშავებას, დამტკიცებასა და შეთანხმებას შესაბამის სამსახურთან;***
- ✓ ***შიდა სამეთვალყურეო კამერების მონტაჟს.***

ზემოთ მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია:
განხორციელდეს 2023 წლის 31 დეკემბრამდე:

- ✓ ***სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღება;***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ *საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შემუშავება, დამტკიცება და შეთანხმება შესაბამის სამსახურთან;*
- ✓ *შიდა სამეთვალყურეო კამერების მონტაჟი.*

<u>ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლაში. მორიგეობენ მასწავლებლები. სკოლას ჰყავს დარაჯი, დირექცია. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ცხელი ხაზის ნომერი. სამომავლოდ სკოლამ დაგეგმა მოსწავლეებისთვის უსაფრთხოების თემაზე ტრენინგის ჩატარება და ტრენინგის ჩასატარებლად კვალიფიციური სპეციალისტი. სკოლას აქვს პანდუსი, რაც უზრუნველყოფს შშმ პირების სკოლის პირველ სართულზე თავისუფალ გადაადგილებას. სკოლის შესასვლელში, სასწავლო პროცესის დროს, მუდმივად არის სკოლის თანამშრომელი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ვიზიტორებს და აწარმოებს მათ აღრიცხვას. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების შესვლა მკაცრად კონტროლდება. საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ქცევის წესები, მორიგეობისა და გაკვეთილების ცხრილი. სკოლას აქვს შემუშავებული უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია, სადაც აღწერილია სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის მარეგულირებელი წესები.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამისათვის სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები/სად. საათი, ტოლერანტობისა და ბულინგის, კიბერბულინგის საკითხების გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ასახულია "მე და საზოგადოების", „სამოქალაქო განათლების", „ბუნებისმეტყველების" და სხვა საგნობრივი პროგრამების კურუკულემებში. სკოლის დერეფნებში გამოკრულია ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები - სველ წერტილებში არის თხევად საპონი, საპირფარეშოს ქაღალდი და ხელსახოცი. ყველა სართულსა და დერეფანში განთავსებულია სანაგვე ურნები, რომელიც უზრუნველყოფს ჰიგიენის დაცვას. სველი წესით იწმინდება დერეფნები. სკოლას ემსახურება 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დამლაგებელი. შემუშავებული აქვთ სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელია სკოლის ექთანი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლაში პერსონალური მონაცემები მუშავდება მიზნის შესაბამისად და ინახება, იმ ვადით, რომ მიღწეული იყოს მისი დამუშავების მიზანი. დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ საჯარო განხილვა/გავრცელება. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიღწევების, სერტიფიკატების, ფოტოების, ნამუშევრების და ა.შ) გასაჯაროებისთვის (საჭიროების შემთხვევაში) სკოლა წინასწარ უთანხმდება მოსწავლეს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს. დაცულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები. პერსონალურ მონაცემებთან შესაძლებელია შეხება ჰქონდეს სკოლის შემდეგ თანამშრომლებს: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, დამრიგებელი/მასწავლებელი მათ კომპეტენციებს მიკუთვნებული დოზითა და პასუხისმგებლობით. თითოეულ მათგანს გაცნობიერებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა. დასაქმებულთა დისციპლინურ სახდელებში გათვალისწინებულია რეაგირებები ისეთ დარღვევებზე, როგორიცაა უფლებამოსილი პირის მიერ ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში ინფორმაციის შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, შეცვლის, გამჟღავნების ან ნებისმიერი სხვა უკანონო დამუშავება, უფლებამოსილი პირის მიერ ელექტრონული საინფორმაციო ბაზის წარმოების წესის დარღვევა;
ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მოსწავლის პირადი ინფორმაციის საჯაროდ გამოყენებისას (ფოტოები, ვიდეოჩანაწერები და სხვა) შეთანხმება ხდება სიტყვიერად. მნიშვნელოვანია მოსწავლის პერსონალურ მონაცემთან დაკავშირებით სკოლამ გააფორმოს ოფიციალური შეთანხმების დოკუმენტი მშობელთან/მეურვესთან.
ხარვეზი: სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონკრეტული მექანიზმი.

ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით #2-58 დამტკიცებული "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი". დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. წესი აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.მოცემული დოკუმენტის გათვალისწინებით, ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლას სრული პერიმეტრი დაფარულია WIFI ქსელით. მასწავლებლები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს, ხოლო მოსწავლეები student.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისას გათვალისწინებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციები. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა შეზღუდულია მოსწავლეებისათვის. სკოლა ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

7. ყოველწლიურად 10 დეკემბრისთვის სკოლის დირექტორი აკეთებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის უსაფრთხოების შესახებ. ანგარიშის ანალიზის შედეგად იგეგმება მომავალი საქმიანობები სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სკოლა ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერთან და პარლამენტთან საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობის შესახებ.
ხარვეზი: სკოლაში არ ფუნქციონირებდა მრჩეველთა საბჭო, რაც არღვევს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების №06/ნ -29.01.2019 მუხლი 11- ის პირველ პუნქტს, "სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში მანდატურისა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის მრჩეველთა საბჭოს". სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილ კოლეგიურ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 სექტემბრის ბრძანება N2-50 "სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის წინარეხის საჯარო სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ". მოცემული ბრძანების გათვალისწინებით, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო 6 წევრით. საბჭოს შემადგენლობაშია: სკოლის დირექტორის მ/შ, მანდატური/უფლებამოსილი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, ქალაქ კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი.
<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- სკოლის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია,
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი,
- სახანძრო მიწერილობა #265,
- ბრძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ,
- სადამრიგებლო პროგრამები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან;
- *სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით #2-58 დამტკიცებული "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი";*
- *სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 სექტემბრის ბრძანება N2-50 "სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის წინარეხის საჯარო სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ";*
- *სკოლის შესაბამისობის გეგმა;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას.

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტ სოფელ წინარეხში 4631 კვ.მ მიწის ფართობზე. სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 23 მაისის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც ფიქსირდება, რომ სკოლას აქვს 16544 კვ.მ. მიწის ფართობი. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებით, გარკვეული ფართობი გადაეცა მუნიციპალიტეტს საბავშვო ბაღის მშენებლობისათის. 2021 წლიდან სკოლა გადავიდა ახალადაშენებულ შენობაში, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. სკოლის N1 ძირითადი შენობა ერთსართულიანია და მისი საერთო ფართობია 517,0კვ.მ.
სკოლის ეზოში არის მცირე ნაგებობა, სადაც განთავსებულია სკოლის საქვაბე და გათბობის სისტემის მოწყობილობები. სკოლის ეზოში არის კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი და სარეკრეაციო ზონები. სკოლა შემოსაზღვრულია ღობით.
სკოლა შენობას ფლობს უზურფრუქტის საფუძველზე, არის სახელმწიფო ქონების მოსარგებლე 2016 წლიდან.
სკოლას აქვს:
   - ცენტრალური შესასვლელი და დერეფანი,
   - დირექტორის კაბინეტი,
   - საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სველი წერტილით, დამხმარე ოთახით, გამწოვი სისტემითა და ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის გარკვეული აღჭურვილობით, საგანმანათლებლო რესურსებით.
   - ბიბლიოთეკა, სადაც გარკვეულ ზონაში განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია 2 ქსელში ჩართული კომპიუტერით,
   - ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები (2-2 სვ. წერტ) და 1 ადაპტირებული საპირფარეშო.
   - სამასწავლებლო სველი წერტილით,
   - სამედიცინო კაბინეტი,
   - კვების ბლოკი,
   - 7 საკლასო ოთახი (ერთ საკლასო ოთახში განთავსებულია ტენისის მაგიდა).

   სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი. გარე სპორტული მოედანი კეთილმოწყობილია.

საკლასო ოთახებში სასკოლო მერხების საერთო რაოდენობა შეადგენს 36 ერთეულს. სულ სკოლას აქვს 65 მერხი. მიმდინარე ეტაპზე სკოლაში ირიცხება 28 მოსწავლე.
რჩევა: სარგებლობაში არსებული ფართის დაზუსტების მიზნით, მნიშვნელოვანია განახლდეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სასურველია ბიბლიოთეკა და ისტ ლაბორატორია დამოუკიდებელ სივრცეებად ჩამოყალიბდეს. სკოლას შუძლია ერთი საკლასო ოთახი (ტენისის მაგიდით) დაუთმოს ბიბლიოთეკას, ან ისტ ლაბორატორიას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
   სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და რესურსებით. საკლასო ოთახებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო რესურსები საგნობრივი პროგრამების შესაბამისად, გრაფიკული ორგანეიზერები, ტაბლოები, წიგნები, მანიპულატივები, ფიგურები და სხვა. რესურსები გათვალისწინებულია მოსწავლეებისათვის. სკოლას აქვს 7 ლეფთოფი, 2 მომუშავე კომპიუტერი, 2 პროექტორი, 4 პრინტერი, 1 ტენისის მაგიდა, ჭადრაკის დაფა და მრავალფეროვანი რესურსები, ასევე აღჭურვილია მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარით. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია მაგნიტური დაფები, სათავსო-კარადები, მასწავლებლის მაგიდა სკამით და სხვა... ეს ყველაფერი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, თითოეულ მოსწავლეს საშუალებას აძლევს აქტიურად და ნაყოფიერად ჩერთოს სასწავლო პროცესში. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და აქვს ბიბლიოთეკა. სკოლა იღებს სახელმძღვანელოებს, რაც აღრიცხული და დანომრილია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლა რესურცენტრიდან იღებს ჟურნალ „მასწავლებელს“, რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინრე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ბიბლიოთეკარი აწარმოებს ჟურნალებს: წიგნობრივი ფონდის საინვენტარო წიგნს, მეთოდური ლიტერატურის აღრიცხვის ჟურნალს, ნაჩუქარი წიგნების აღრიცხვის ჟურნალს, ჩანაცვლების ჟურნალს. ჟურნალები ზონარგაყრილი და ბეჭდითაა დადასტურებული. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. ყველა წიგნს პირველ და მე-17 გვერდზე სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკას განსაზღვრული აქვს დებულება. შედგენილია ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ასევე მრავალფეროვანი მეთოდური ლიტერატურა მასწავლებლებისათვის.

სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, რაც ხელმისწავდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

3. ინკლუზიური სასწავლო გარემოს ფორმირება სკოლის პრიორიტეტია. სკოლას აქვს გარე პანდუსი, რომელიც შედის სკოლაში. სკოლა ერთსართულიანია. სკოლის ადმინისტრაცია ცდილობს სკოლაში შექმნას ინკლუზიური სასწავლო გარემო თითოეული მოსწავლისთვის. ყველა საკლასო ოთახი დანომრილია, გამოკრულია გაკვეთილების განრიგი. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსები, სიტყვების კედელი, საგანმანათლებლო-მეთოდური პოსტერები, მათემატიკური მანიპულატივები. მითითებულია ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, რესურსოთახის აბრები, ასევე საპირფარეშების, შემოსასვლელისა და გასასვლელის ნიშნულები. სკოლაში გამოკრულია საევაკუციო გეგმა. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებულ შესაბამის, უსაფრთხო გარემოს.

ინდიკატორი შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლაში არის შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სკოლას აქვს კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები: პოსტერები, რუკები, ცხრილები, თვალსაჩინოებები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, ჭკვიანი დაფა, ჭადრაკის დაფები, მაგნიტური დაფები, პროექტორები, კომპიუტერული ლაბორატორია და WIFI ინტერნეტი, ასევე სახარჯი საკანცელარიო მასალები. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- მიღება-ჩაბარებების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის დებულება;
  - გრიფირებული სახელმძღვანელოები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინვენტარიზაციის წიგნი;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციის, კანცელარიის, სამასწავლებლოს სივრცეებში განთავსებულია პორტაბელური კომპიუტერები და ლეფთოფები, პრინტერები. სკოლის სრული შიდა სივრცე WIFI ინტერნეტწვდომის საშუალებას იძლევა, თუმცა ინტერნეტის დაბალი სიხშირე ხშირად ქმნის პრობლემებს, ამას ემატება კომპიუტერების მოძვლებული სისტემები ლაბორატორიაში. სკოლას მიღებული აქვს პორტაბელური კომპიუტერები, რომელსაც აქტიურად იყენებენ მასწავლებლები და კათედრები.თითოეულ პედაგოგს აქვს შესაძლებლობა ამ რესურსის გამოყენებით გაკვეთილი ჩაატროს და თანამედროვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეთოდოლოგიის გამოყენებით სრულფასოვანი სასწავლო პროცესი შესთავზოს მოსწავლეებს, შესრულდეს სხვადასხვა აქტივობა, კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები ელექტრონული რესურსის გამოყენებით. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო ინსტანციაში. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ინტერნეტი ხშირად ითიშება, დაბალი ხარისხისაა და ქმნის ბარიერებს სამუშაო პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და სკოლის პერსონლისთვის. სკოლა აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ციფრული ტექნიკით. სკოლის ციფრულ სტრატეგიაში წარმოდგენილია (არასავალდებულო)კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი კათედრებისთვისა და მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- **სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;**
- **ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარებები ციფრული ტექნიკის შესახებ.**
- **ელექტრონული ჟურნალი:** https://www.facebook.com/profile.php?id=100093055864252
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან .**

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დანერგილია და პრაქტიკაში მუშაობს საქმისწარმოების ღია, მოქნილი და მოსწავლეზე ორიენტირებული სისტემა. მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით.
   სკოლა აწარმოებს ჟურნალებს მატერიალური სახითაც:
   - საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს,
   - გასული დოკუმენტაციის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს,
   - შემოსული დოკუმენტაციის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს,
   - საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს,
   - თანამშრომელთა ხელშეკრულებების ჟურნალს.

   სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით.
   მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადიობის მოწმობის ასლები, ფოტო, ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან, მოსწავლეთა დახასიათებები და სხვა.
   სკოლას გაწერილი აქვს საქმისწარმოების წესი. საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საქმისწარმოება მოწესრიგებული და კანონმდებლობის შესაბამისია.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eflow - ს საშუალებით. აღირიცხება შემოსული, გასული კორესპოდენციები და დირექტორის გამოცემული ბრძანებები. ამის გარდა სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა tsinarekhi@mes.gov.ge , სკოლა იყენებს email.mes.gov.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდის საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელ ყველა უწყებას ინფორმაციას. კანონის შესაბამისად რეაგირებს შემოსულ წერილებზე და ახორციელებს უკუკავშირს. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი პროტოკოლი - 10 დეკემბრის ანგარიშის სახით. eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის eflow და eschool ციფრული პლატფორმები;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი და ვიზიტის დროს გადამოწმებული საქმისწარმოების შესაბამისი დოკუმენტები;
- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- თანამშრომელთა, მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- გასაუბრება საქმისმწარმოებელთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ-გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სოციალურ ქსელში არსებული პერსონალური გვერდით. კერძოდ; სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც აქტიურად ასახავს ინფორმაციას სიახლეებისა და აქტივობების შესახებ. სკოლას ოფიციალური ვებ-გვერდი არ გააჩნია.
   სკოლის facebook გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. სკოლა საჯარო დანიშნულების ინფორმაციას განათავსებს სკოლის განცხადებების დაფაზე. ასევე, მშობელთა კრებებზე - დამრიგებლების მეშვეობით. ასევე იყენებს სკოლის სოციალურ გვედს. კლასის დამრიგებლები მშობლებთან საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებენ Facebook, Messenger ჯგუფებს, სკოლის ელექტრონული ჟურნალით.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლა განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას იღებს საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელი უწყებებიდან და შესაბამისად, ინფორმაცია სანდო და უტყუარია. განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია იმ მასწავლებელთან, სკოლის თვითმმართველობასთან, ან სკოლის წარმომადგენელთან, რომელიც ახორციელებს აღნიშნულს.
   სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სკოლის პედაგოგთა Facebook გვერდს https://www.facebook.com/profile.php?id=100093055864252. პედაგოგთა თქმით, ამ გვერდზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება ფორმალური, თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. აქ ზიარდება საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემოსული ინფორმაცია, ასევე სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებები და ა.შ. ინფორმაცია ზიარდება სანდო წყაროზე დაყრდნობით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოყენებს სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლას აქვს ელ. ჟურნალი და ელ. პლატფორმა -TEAMS და სოციალური გვერდები. დირექციის განმართებით, სასკოლო ელ. გამოკითხვები ამ სივრცეში წარიმართება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. დირექტორის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრდაჭერით, სკოლის ვებ-გვერდი შეიქმნილია, თუმცა შინაარსობრივად არ არის გამართული (იხ https://bit.ly/40EBGI8).
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სკოლას სოციალურ ქსელში განთავსებული აქვს მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტების, ღონისძიებების ამსახველი ვიდეოები, დასუფთავების და გამწვანების აქციების ამსახველი ინფორმაცია, სპორტული აქტივობები.
ხარვეზი: სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული იყო მხოლოდ საკონტაქტო ინფორმაცია. არ იყო წარმოდგენილი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სტრატეგიული განვითარების გეგმა, შინაგანაწესი, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრუქტურა და სხვა.
ინტერვიუირებისას ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სკოლა ეტაპობრივად მოაწესრიგებს და გამოაქვეყნებს ყველა იმ საჭირო ინფორმაციას, რისი გამოქვეყნებაც სავალდებულოა სტანდარტის შესაბამისად.

სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის ბრძანება 2-61 "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ", რითაც დასტურდება, რომ სკოლაში განსაზღვრულია სკოლის ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, პროგრამები, კლუბი, სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა, სკოლის ბიუჯეტი, საკონტაქტო ინფორმაცია.
სკოლის არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სოც. ფეისბუქ გვერდი:** https://www.facebook.com/profile.php?id=100093055864252
- **სკოლის პორტალი :** https://bit.ly/40EBGI8
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, საქმისმწარმოებელთან;**
- ***კერძოდ, სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის ბრძანება 2-61 "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ",***

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრულია მოსწავლის ვაუჩერული დაფინანსებიდან, მასწავლებელთა სახელფასო დანამატებით. სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლა ფინანსურად მდგრადია. სკოლას აქვს თანხის დანაზოგი და გეგმავს ფერადი პრინტერისა და რესურსების შეძენას.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
2. სკოლა ყოველი წლის ნოემბერში ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას და წარადგენს შესაბამის სამსახურთან. წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტს, საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის ცვლილება, თუმცა, ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს, დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან წელიწადში ორჯერ წარადგენს ფინანსურ ანგარიშს. სკოლის ბუღალტერი თანამშრომლობს თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფინანსისტთან, რის ფარგლებშიც ხდება წლიური ბალანსის წარდგენა, სკოლაში მიმდინარე ფინანსური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023 წლის შესყიდვების გეგმა;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის ბიუჯეტი და დაფინანსების დინამიკა;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- შესყიდვების გემის დამტკიცების ბრძანება;
- მიღება - ჩაბარების აქტები;
- გასაუბრება სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია დაცულობის და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო. პედაგოგები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არსებული ურთიერთობები მოსწავლეთა უფლებების დაცვაზე, მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, მიმდინარე ეტაპზე სწავლობს 28 მოსწავლე. თითოეულ მოსწავლეს საშუალება აქვს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, რომელიც სკოლას გამოკრული აქვს საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის. შინაგანაწესში გათვალისწინებულია მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მოსწავლის მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, სკოლაში ჩაცმულობის წესი.
   განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აგრეთვე, სკოლას აქვს შინ სწავლების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციები მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის შესახებ, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.
მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს საბაზო განათლების მიღების თანაბარი უფლება.
ადგილზე ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა ისაუბრეს მოსწავლეთა უფლებების დაცვაზე, სკოლის მიერ პრევენციის მიზნით გატარებულ ღონისძიებებზე და საინფორმაციო შეხვედრებზე როგორც მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში.
   დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია კათედრებთან ერთად ხელს უწყობენ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას, უფლებების დაცვასა და მოვალეობებს. სკოლაში ორივე საფეხურზე ეტაპობრივად ინიშნება კლასის საათი, სადაც განიხილება საორგანიზაციო საკითხები მოსწავლეთა უფლებების/მოვალეობების შესახებ, როგორ არის შესაძლებელი ამ უფლების დაცვა და რა მექანიზმები არსებობს. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები შესაბამისი ნიშნულებით. სკოლის დირექტორის განმარტებით მიმდინარე წელს ერთ - ერთი პრიორიტეტი იყო მშობელთა ჩართულობის გაძლიერება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. მუშაობა აქტიურად გაგრძელდება 2023 – 2024 სასწავლო წელსაც.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები.
   რჩევა: სასურველია, ხელშეკრულებები გატარდეს სარეგისტრაციო ჟურნალში.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი,
- მშობელთან დადებული ხელშეკრულებები;
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100093055864252
- გასაუბრება სკოლის მასწავლევლებთან,

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესით ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის გარკვეული პროცედურები. შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში.
   ინტერვიუირებისას ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ამ მხრივ ხელმძღვანელობენ 2021 წლის 8 აპრილის საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება N11/ნ-ით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით და მისი ცვლილების შესაბამისად.
ხარვეზი: სკოლას არ ჰქონდა რაიმე ტიპის დოკუმენტი, სადაც იქნებოდა გაწერილი მობილობის, სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების გამჭვირვალე და მკაფიო, კანონმდებლობის შესაბამისი წესები და რეგულაციები.

სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის ბრძანება #2-60 "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ". მოცემული აქტით განსაზღვრულია:

- ✓ ***მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის პროცედურა;***
- ✓ ***მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა (გარდა პირველი კლასისა);***
- ✓ ***მოსწავლის სტატუსის შეჩერება/აღდგენა;***
- ✓ ***მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა;***
- ✓ ***საფეხურის დაძლევა;***

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

2. სკოლა არსებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში იღებს ყველა მოსწავლეს, დისკრიმინაციის გარეშე. სკოლაში კლასები კლასკომპლექტებიდაა დაყოფილი, I-III და II-IV, მკაფიოდ დოკუმენტირებული არ არის, თუმცა, სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს, რასაც მოწმობს სკოლის ელექტრონული ბაზა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ გაიცემა საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი, რაც განიხილება და მტკიცდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას დაცული აქვს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურები. ამ მხრივ სკოლა თანამშრომლობს ადგილობრივ რესურსცენტრთან. სკოლაში ბრძანების საფუძველზე მოხდება მოსწავლის ჩარიცხვა და და ამორიცხვა, ექსტერნის შედეგზე მიბმული ქმედებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მობილობა, საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეჩერება. გარდა ამისა, მოსწავლის მიერ კლასისა და საფეხურის დაძლევის შედეგები განიხილება პედსაბჭოზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, რაც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ინფორმაციების მიწოდება მოხდება სადამრიგებლო კლასის საათზე, სოციალური ქსელით, საინფორმაციო დაფის მეშვეობით. აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკოლამ მე-5 კლასში მინიმუმ ორი უცხოური ენა უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს ასარჩევად. სკოლაში მეოთხე კლასის დასასრულს ჩატარდება დამრიგებლისა და ენის სპეციალისტების მიერ ერთობლივი საინფორმაციო კამპანია ენის არჩევასთან დაკავშირებით. არჩევანის გაკეთების პროცესში, პირველ რიგში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა (მშობელთა) ინტერესები და სკოლის შესაძლებლობები, როგორც ადამიანური რესურსის, ასევე სასწავლო რესურსებისა და ფინანსური შესაძლებლობის ჩათვლით.

სკოლას, 2023-2024 წელის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, ფასიანი წრეები არ აქვს გათვალისწინებული.

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია ზიარდება დერეფანში საჯაროდ, საინფორმაციო დაფაზე.

ვერ ხერხდება კვების ბლოკის (ბუფეტი) ფუნქციონირება (არ არის მოიჯარე მსურველი), რის გამოც მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება სკოლაში ისარგებლონ კვების ბლოკის მომსახურებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სკოლაში მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს სასკოლო რესურსებით, ჩაერთოს აქტივობებში, მიიღოს ინფორმაცია პროექტების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ყველა წესის დაცვით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის შინაგანაწესი,**
- **სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- ბრძანებები: მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებაზე, მობილობაზე, მოსწავლის ჩარიცხვაზე, განსხვავებულ ვადებში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ, შეტყობინება სტატუსის შეჩერებაზე.
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან;
- *სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის ბრძანება #2-60 "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ".*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთეკრულებაი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მკაფიოდ გაწერილი მექანიზმი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია, თუმცა ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი ბევრი პირობა გააჩნია. სკოლას აქვს ყველა რესურსი იმისთვის, რომ მოსწავლემ იგრძნოს თავი მშობლიურ გარემოში და იყოს დაცული. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მიერ წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებები მოსწავლეს და მშობელს შეუქმნის წარმოდგენას მომავალ სასკოლო ცხოვრებაზე. სკოლაში მოსწავლის მიღება და რიცხოვნობის განსაზღვრა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის მიხედვით.
ხარვეზი: სკოლას არ ჰქონდა განსაზღვრული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები.

სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის ბრძანება #2-57 "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის შესახებ". დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. წარმოდგენილია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები, წინამდებარე დოკუმენტის გაცნობა, დასკვნითი დებულებები.
სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, 4.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლას აქვს მოსწავლის საბავშვო ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის გამოცდილება, თუმცა ეს ყველაფერი არ არის დოკუმენტირებული. სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ასევე საყურადღებოა მოსწავლის მე-4 კლასიდან მე-5 კლასში გადასვლის კრიზისული ეტაპი, როდესაც მოსწავლეებს აქვთ ახალ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გარემოსთან, ახალ მასწავლებლებთან შეგუების ფსიქო-ემოციური ფონი, სკოლა ამ ეტაპზეც შესთავაზებს მოსწავლეებს შესაბამის აქტივობებს.

სკოლას აქვს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, საპირფარეშო, ბიბლიოთეკა/კომპიუტერული ლაბორატორია, გარე სპორტული მოედანი, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი და სხვა განმავითარებელი რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლის ადმინისტრაციამ და მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მოსწავლეებს შესთავაზებენ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, კლასგარეშე აქტივობებს, არაფორმალურ შეხვედრებსა და გასვლით აქტივობებს, რაც ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოში. ამ მიმართულებით აქტიურად ითანამშრომლებენ მოსწავლის მშობელთანაც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. მოსწავლე სკოლიდან მიიღებს აქტიურ მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამისათვის სკოლა გამოიყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი საგნობრივი პროგრამები მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ ამის გათვალისწინებით. მოსწავლეთა საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები გეგმავენ განახორციელონ ინდივიდუალური შეხვედრებიც.

   სკოლაში მესამე თაობის დანერგვის სრული პროცესი მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაზე, ამ მიმართულებით სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს, რომელიც ორიენტირებულია მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე. ამის გარდა სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბურ მომსახურებას. სკოლა აქტიურად ჩაერთვება სასკოლო ოლიმპიადებსა და დიაგნოსტიკური შეფასების პროცესებში. ასევე მნიშვნელოვანია მშობელი ყოველდღიურ რეჟიმში იღებდეს ინფორმაციას სკოლის ელექტრონული ჟურნალის საშუალებით შვილის აკადემიურ შედეგებზე. საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდებსთვის მოსწავლეს დაეხმარება დამრიგებელი, რომელიც ზრუნავს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე და აწვდის მოსწავლის მშობელს ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით - სკოლის ექსტერნის, ოლიმპიადების, სემესტრული გამოცდების, საშემდოგომოს ჩატარების წინ ყველა მოსწავლეს წინასწარ შექმნილი გრაფიკის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

უტარდებათ კონსულტაციები. საჭიროების შემთხვევაში სკოლა სთავაზობს მოსწავლესა და მის მშობელს შინ სწავლების მომსახურებას, რომელიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით წახალისებულია დამატებითი/არაფორმალური აქტივობები და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს. მოსწავლეთა თვითმმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო საფეხურის მოსწავლეებისაგან, რომლებიც აირჩევიან შესაბამისი საფეხურების მოსწავლეთა მიერ. მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს თვითმმართველობაში ირჩევენ თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. მოსწავლეთა თვითმმართველობა:
ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;
ბ) უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;
გ) ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში;
დ) სკოლის წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;
ე) წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს

სკოლაში შექმნილია სამეწარმეო კლუბი „სიყვარულით ხელნაკეთი“, წარმოდგენილია კლუბის სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო წლისთვის. დირექტორის მიერ დამტკიცებულია კლუბის წესდება. კლუბს აქვს ლოგო, დევიზი.
სკოლას აქვს როგორც ფინანსური, ასევე მატერიალური რესურსი, მოსწავლეებმა განახორციელონ სხვადასხვა სოციალური, კულტურული მემკვიდრეობის, სამოქალაქო უსაფრთხოების, ჯანსაღი ცხოვრების თუ გარემოსდაცვითი პროექტები. აღნიშნული პროექტები ძირითადად ემსახურება სხვადასხვა საჭიროებების მქონე ადამიანების მხარდაჭერას, გარემოზე ზრუნვას, მდგრადი განვითარების მიზნებს. დაგეგმილია პროექტები: „გავამხნეოთ მარტოხელა მოხუცი“, „დავეხმაროთ მრავალშვილიან დედას“, „ნუ მივატოვებთ ერთმანეთს“, პროექტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით, სახელწოდებით „ჩვენი ფესვები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სკოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლასის დამრიგებელიც, რომლის ფუნქციებშიც წარმოდგენილია არაფორმალური განათლების აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა; ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოფენილი იყო სასკოლო პროექტების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტოები და პოსტერები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

6. მასწავლებელთა ინტერვიუირებით იკვეთება, რომ მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთაგან უკუკავშირის მისაღებად სკოლა გეგმავს განახორციელოს მოსწავლეთა მშობელთა/მეურვეთა გამოკითხვები. მშობელთა მაქსიმალური ჩართულობით, მოსწავლის სასკოლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებით, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების კუთხით, მასწავლებლებთან სწორი კომუნიკაციით, მოხდება მოსწავლის ჩამოყალიბება ჰარმონიულ, სრულფასოვან, განათლებულ პიროვნებად.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სადამრიგებლო პროგრამები,**
- **სკოლის სოციალური გვერდი.**
- **სასკოლო პროექტების პორტფოლიოები;**
- **კლუბის წესდება;**
- **სკოლის ვიზუალური დათვალიერება;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან;**
- ***სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის ბრძანება #2-57 "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის შესახებ".***

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წელს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშწყობისათვის დაგეგმილია აქტიური თანამშრომლობა კასპის პროფესიულ კოლეჯთან. საგნობრივ პროგრამებში, სადამრიგებლო საათებზე, სამოქალაქო განათლების ფარგლებში აქტიურად განიხილება პროფესიული ორიენტაციის საკითხები.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. კარიერული განვითარების შესაძლებობებთან დაკავშირებით სკოლა მუდმივად მიაწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას განათავსებს სკოლის სოციალურ გვერდზე. სასწავლო წლის დასასრულს საფეხურის შემდომი კარიერული განვითარების მიზნით დაგეგმილია მე-9 კლასის მოსწავლეების წაყვანა კასპის პროფესიულ კოლეჯში, სადაც მოსწავლეს შეუძლია გაეცნოს დაწესებულებაში არსებულ პროგრამებს.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევის გათვალისწინებით, სკოლა მოახდენს გაწეული მომსახურების ხარისხიანობის შეფასებასა და გასაუმჯობესებას. სკოლა საბაზოა, მოსწავლეთა უმრავლესობა სწავლას აგრძელებს საშუალო საფეხურზე. სკოლა მშობელს დაეხმარება იმ სასწავლო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის გადაცემაში, სადაც მოხდება ბავშვების გადინება. ასევე მიაწვდის რეკომენდაციებს, როგორ იმოქმედონ და რა სახის დოკუმენტაცია წარადგინოს სწავლის გასაგრძელებლად.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო;
- სადამრიგებლო პროგრამები,
- ფოტომასალები;
- „მე და საზოგადოების“, „სამოქალაქო განათლების“ კურიკულუმის ჩარჩოები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023-2024) წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების ძირითადი კონცეფცია, ინივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, ისგ ჯგუფის მუშაობის პრინციპები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრება-გაცდენების წესები. ინკლუზიური განათლების განვითარება სკოლის მნიშვნელოვანი ამოცანაა. სკოლას მიმდინარე ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლეებს იყვნენ სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩართულნი. სკოლას აქვს გარე პანდუსი და ერთ სართულზეა განლაგებული ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცე: ბიბლიოთეკა, ისტ ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ადაპტირებული სველი წერილი და სხვა.
   სსსმ მოსწავლეების სოციალიზაციის მიზნით, დაიგეგმება არაფორმალური განათლების მრავალფეროვანი აქტივობები.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არასავალდებულო ტრანსპორტირების სერვისს. სკოლაში სწავლობენ ორი სოფლის მცხოვრები ბავშვები, რომელთა საცხოვრებელი სახლი სკოლიდან დაცილებულია 2-6 კმ რადიუსით. კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ პროგრამის ფარგლებში უზრუნველყო აღნიშნული მოსწავლეების უფასო ტრანსპორტით მგზავრობა. სკოლას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება მერიასთან, ან სამინისტროსთან, რადგან თავად მერია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზრუნველყოფს აღნიშნული მომსახურების ფინანსურ მხარდაჭერას. აღნიშნული მომსახურებით სოფელი თელათგორიდან ამჟამად 7 მოსწავლე სარგებლობს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სასწავლო გეგმის პროექტითა და ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით იკვეთება, რომ რაიმე ტიპის დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ფინანსური რესურსების სიმცირის გამო, 2023-2024 სასწავლო წელში არ იგეგმება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლაში არ არის გაიჯარებული ფართები, რის ფარგლებშიც შეიძლება მოსწავლეებისთვის იყოს ხელმისაწვდომი სხვადასხვა ტიპის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. თავად სკოლასაც დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ გააჩნია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე
<u>დაწყებითი საფეხური</u>

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის აგების მეთოდოლოგია. დოკუმენტში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს: ა) კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, ბ) პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, გ) კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა. აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში გამოკვეთილია, რომ საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შედგენა მოხდა მშობელთა და მოსწავლეთა ,,სურვილების ყუთი"-თ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მშობელთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა პრიორიტეტებს, რასაც ძირითადად ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად, ასევე მშობელთა უკუკავშირით, რაც დაწყებით საფეხურზე თითქმის ყოველდღიურად ხდება. სასწავლო წლის დასრულებისას დაწყებითის კათედრა განიხილავს მიღწეულ შედეგებს. მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დაგეგმეს ახალი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. კათედრის წევრები იკრიბებიან და ერთად ჯერდებიან მომდევნო წლის კურიკულუმზე. **ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის ანალიზში აღნიშნულია, რომ ყველა აქტივობას, პროექტსა თუ ღონისძიებას სკოლა გეგმავს და ახორციელებს ყველა რგოლის ჩართულობით., რომ დაწყებით საფეხურზე კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან ხდება კომუნიკაცია მშობლებთან და იკვეთება მათი ინტერესები და მოლოდინები. სკოლა ახდენს აღნიშნულის გათვალისწინებას სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმებულად. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება, მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში) გაწერილია ამ მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები, გაზიარებულ იქნა გასული წლების გამოცდილება და პრაქტიკა. შემუშავებულია კითხვარები (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლინების, სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შეფასების და მომავალი სასწავლო წლისთვის სასურველი ცვლილებების განხორციელების მიზნით. **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით კერძოდ, საგნობრივ კათედრებზე. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის ცალ-ცალკე (დაწყებითი, საბაზო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო საათს. ასევე მკაფიოდაა აღნიშნული, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ინტერვიუს პროცესში რესპოდენტებმა ისაუბრეს თუ რის მიხედვით ასახეს კურიკულუმში მოსწავლეების ინტერესები, აღნიშნეს რომ მათ მუდმივად აქვთ მოსწავლეებთან კომუნიკაცია, იყენებენ ინტერესთა კითხვარს, სადაც მოსწავლეები აფიქსირებენ თუ რა მოსწონთ, რა ინტერესები აქვთ მაგალითად, უგზავნიან მათ კომპლექსური დავალების ბარათებს. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების მიხედვით ქმნიან კლუბებს, წრეებს, გეგმავენ სასკოლო პროექტებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და მეტად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა პროცესში საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას ყოველდღიურად ხდება მოსწავლეებისაგან უკუკავშირის მიღება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის ანალიზში აღნიშნულია, რომ სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის დასასრულს ჩაატარა სამეურვეო საბჭოს და მოსწავლეთა მშობლების გაერთიანებული კრება, სადაც მშობლებს მასწავლებლებმა გააცნეს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის სამუშაო ვერსია და მიიღეს უკუკავშირი, რომელიც ასახულია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ატიურად ჩართულობის მიზნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

გაერთიანებულ კრებაზე გადაწყდა შექმნილიყო მშობელთა მხარდაჭერის ჯგუფი, სადაც ფარული კენჭისყრით აირჩა 4 მშობელი დაწყებითი და საბაზო საფეხურიდან. სამომავლოდ, პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მშობელთა მხარდაჭერის ჯგუფი აქტიურად ჩაერთვება სასკოლო პროცესებში მთელი წლის მანძილზე, როგორიც იქნება კვლევებში მონაწილეობა/ არაფორმალური აქტივობები. სკოლა მოახდენს სკოლის საჭიროების კვლევას მშობელთა ჩართულობაზე სასკოლო კურიკულუმის დამტკიცების პროცესი მოიცავს შეთანხმებას სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებას პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას მის საბოლოო ვარიანტის შექმნაში.

სკოლას მიეცა რჩევა: სახვით და გამოყენიბით ხელოვნებაში, პედაგოგის აყვანის შემდეგ, კურიკულუმის ჩარჩოების შემუშავებისას სკოლამ გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები და უზრუნველყოს მათი ჩართულობა. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება განხორციელდა სტრუქტურული ერთეულების, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის შეხვედრებზე, სკოლის დამრიგბლების, საგნობრივი მასწავლებლების მშობლებთან შეხვედრებზე. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები: სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული, ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ამ ეტაპისთვის სკოლაში არსებული საინფორმაციო დაფა, სადაც ხდება ინფორმაციის გავრცელება, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. სამომავლოდ სკოლა აპირებს შექმნას ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც მოხდება კურიკულუმის გაზიარება. სკოლას გააზრებული აქვს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით როგორ მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება.
ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია 2023-2024 სასწ/წელი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024
- სამეურვეო საბჭოს და მოსწავლეთა მშობლების გაერთიანებული კრების ოქმი, 2023 წლის 16 მაისი.
- დაწყებითი საფეხურის გაერთიანებული კათედრის სხდომის ოქმი №4, 2023 წლის 19 მაისი.
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები,
- კომპლექსური დავალების ნიმუშები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სახელმწიფო ენა - საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება შერჩეული ომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლეების ნამუშევრებს მთელი წლის მანძილზე, აანალიზებენ ნამუშევრებს საფეხურის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. კომპლექსური დავალებების პირობაში ყოველთვის ითვალისწინებენ სხვადასხვა მზაობის მოსწავლეების შესაძლებლობებს, აძლევენ მათ საშუალებას რომ შესაქმნელი პროდუქტი იმ საშაუალებებით წარმოადგინონ, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომია: ნახატით, აპლიკაცია, მაკეტით. მასწავლებლების დამოკიდებულებები ყოველთვის არის პოზიტიური და ცდილობენ წაახალისონ მოსწავლეთა ნებისმიერი, თუნდაც მცირე აქტივობა, მივცენ მათ სტიმული და გავუღვიონ ინტერესი მომავალი სამუშაოსადმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- ინგლისურ ენაში Vl კლასის გარდა ყველაგან წარმოდგენილია 1 კომპლექსური დავალება. რუსულში Vll კლასშია 3 კომპლექსური დავალება წარმოდგენილი. როგორც კათედრასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო გაამრავალფეროვნონ კურიკულუმი და გაზარდონ კომპლექსური დავალებების რაოდენობა. რათა შემდგომ ანალიზის საფუძველზე შეძლონ და შექმნან კურიკულუმის საუკეთესო ვერსია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებს გზას, რაც ნათლად ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში,კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით საგნების ,,ჩვენ საქართველო“ და ,,მე და საზოგადოების“ მიმართულებით კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მზაობა მომავალი სასწავლო წლისთვის ასევე მათი სამომავლო ხედვა,ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს ზუსტი აქცენტები კომპლექსური დავალების ,როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ტექნოლოგიები - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; როგორც ინტერვიუდიან გაირკვა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრის წევრები, თითოეული საგნის პედაგოგი გაეცნო საგნობრივი ქოუჩების მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს, განიხილეს ჩარჩოს შემადგენელი ნაწილები და მოხდა სასკოლო/საგნობრივი კურიკულუმების შედგენა. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შემუშავებულია კომპიუტერული ტექნოლოგიის II,III,IV,V,VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე. აღნიშნული კომპლექსური დავალებები დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობების მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური აღზრდის კათედრამ წარმოადგინა მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები. მუსიკის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოდგენილია თემატური ბლოკების მიხედვით თემები, თემებთან დაკავშირებული საკითხი, გამოყოფილია სამიზნე ცნეები და ის ქვეცნებები, რომელიბიც მუშავდება საკითხთან და თემასთან მიმართები. მუსიკის პედაგოგთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევა ამჟამად მიმდინარეობს, შერჩეული დავალებები ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - *შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ყველა კლასის კომპლექსური დავალება გულისხმობს სასკოლო ფესტივალის ჩატარებას სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. ასევე კედლის გაზეთის, ბუკლეტის მომზადება და საკუთარი ნაშრომის პრეზენტაციას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სახელმწიფო ენა- კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, შესაბამისად კონტექსტ-მაგალითები, საკითხები და ზოგიერთისთვის სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები.გასაუბრებისას გამოიკვათა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. სანიმუშოდ მოცემული დავალებებიდან, წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამიდან, პროექტებიდან („ენა, მამული, სარწმუნოება“, „საახალწლო ზღაპარი“, ,,ფესვები“ „ერთი ცის ქვეშ“) ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განგანვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - დაწყებით საფეხურზე, მათემატიკაში, კურიკულუმი მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია, მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. ყველა კომპლექსური დავალება დაფუძნებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე, მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა თავისი უნარების და შესაძლებლობების ფარგლებში, შემოქმედებიდათ შექმნას და წარმოადგინოს შესასრულებელი სამუშაო; მოსწავლემ კომპლექსური დავალების წარმოდგენისათვის უნდა განივითაროს კომუნიკაციის უნარები, ასევე ითანამშრომლოს კლასელებთან, თანაგუნდელებთან, მეწყვილესთან. კომპლექსური დავალების პირობა და მასწავლებლის დეტალური ინსტრუქციები აძლევს მოსწავლეს საშუალებას დავალებაზე მუშაობის დროს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების გზით ცნობიერებაში დაიმკვიდროს ის მკვიდრი წარმოდგენები, რომელთაც სთავაზობს მასწავლებელი კომპლექსური დავალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -კურიკულუმი, ფორმალური თუ არაფორმალური აქტივობები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ბუნებისმეტყველების დაწყებითი ურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, საკითხები და სამიზნეცნებები-გრძელვადიანი მიზნები.გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. სანიმუშოდ მოცემული დავალებებიდან, წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს მუშავდება თემის ფარგლებში სამიზნე ცნებები,საგან მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს მიმართულებით შექმნილ კურიკულუმებში დიდწილად დაგეგმილია სასწავლო პროცესი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმში გამოკვეთილია ძირითადი შესასწავლი საკითხები ,მასწავლებლები გეგმავენ გარკვეული საკითხების კომპლექსურად შესწავლას რომელიც გააქტიურებს მოსწავლეებში ისეთ ფუნქციურ კომპონენტურ უნარებს როგორიცაა შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა....მასწავლებლების აღნიშვნით სამომავლოდ გეგმავენ ყველა სამიზნე ცნების დაფარვას თემის ფარგლებში კომპლექური დავალებებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ელექტრონული რესურსები, კლასებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, ჩაშენებულია კურიკულუმებში. კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები შექმნილია საგნის სტანდარტის მიხედვით, გათვალისწინებულია მიმართულებები და თემები. შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. კურიკულუმების ჩარჩოები აჩვენებს, რომ სპორტის საგანი უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მუსიკის პედაგოგს ნათლად აქვს გამოკვეთილი გრძელვადიანი მიზნები და მისკენ მისასვლელი შუალედური მიზნები კომპლექსური დავალებისა და პროექტების სახით. კარგად ჩანს ის ნაბიჯები, რომლებიც ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების, მაკრო ცნებების, სამიზნე ცნებებს დამუშავებას. პედაგოგთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა გრძელვადიან მიზნების მიღწევის სტრატეგია და მეთოდოლოგია, პედაგოგი ამუშავებს კომპლექსური დავალებების პირობებს, სადაც გამოკვეთს იმ შუალედურ მიზნებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა გათვლილი.

ხარვეზი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში სურათი არაერთგვაროვანია, კერძოდ არ არის გათვალისწინებული ქვეცნებები, ზოგ შემთხვევაში არ არის სამიზნე ცნებები. თემები არ არის სრულყოფილად გაწერილი, მხოლოდ მათი ჩამონათვალია. კერძოდ:

I კლასის კურიკულუმში - მოცემულია 5 თემა, აქედან მხოლოდ 2 თემაა გაწერილი, დანარჩენში თემის სახელწოდებაა მხოლოდ მოცემული;

II კლასში - მოცემულია ოთხი თემა, არ არის წარმოდგენილი თემის ირგვლივ დასამუშავებელი საკითხები, ქვეცნებები გაწერილია მხოლოდ სამ თემაში;

III კლასში - წარმოდგენილია ხუთი თემა, სამში აქედან ძირითადი საკითხი გამოყოფილი არ არის;

IV კლასში - წარმოდგენილია 5 თემა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები არ არის გაწერილი და ზოგიერთ თემაში მათ ნაცვლად პარაგრაფების სახელწოდებებია ჩამოთვლილი, ასევეა ზოგ საკითხშიც- პარაგრაფის სათაურები.

V კლასში - მხოლოდ პირველი თემაა წარმოდეგნილი, დანარჩენი თემები არ არის მითითებული და ცარიელი გრაფებია დატოვებული.

სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და დაწყებითი საფეხურის განახლებული კურიკულუმის ჩარჩოები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. წარმოდგენილ I-VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში იკვეთება ის ნაბიჯები, რომლებიც ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების, მაკრო ცნებების, სამიზნე ცნებების დამუშავებას. აქედან გამომდინარე, <u>ინდიკატორი 2.1.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3. სახელმწიფო ენა დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ასწავლიან კლას-კომპლექტებს და გამომდინარე აქედან სწავლა-სწავლების პროცესი მთლიანად ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს ახდენენ დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოდიფიცირებას. დიფერენცირებული სწავლება გათვალისწინებულია სასკოლო აქტივობებში, მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც აძლევს მოსწავლეებს კარგ შესაძლებლობას წარმოაჩინონ თავიანთი უნარები. სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას.კათედრას აქვს მზაობა, გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ასწავლიან კლას-კომპლექტებს და გამომდინარე აქედან სწავლა-სწავლების პროცესი მთლიანად ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს.. მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებული აქვთ რამდენიმე არჩევანი, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მათ შეუძლიათ წარმოადგინონ დავალებები მათთვის მოსახერხებელი ფორმატით. შეიმუშავებენ ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს, რომელიც მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

უცხოური ენები -სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლა იყენებს და წარმოდგენილიც აქვთ სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები, ზეპირსიტყვიერად აძლევენ უკუკავშირს, იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს. მოსწავლეები ქმნიან პროდუქტს თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია რომ აპირებენ გამოიყენონ სოლო ტაქსონომია. სკოლაში არ არის ისგ შედგენილი, სსსმ მოსწავლეების არ არსებობის გამო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ასწავლიან კლასკომპლექტებს და გამომდინარე აქედან სწავლა-სწავლების პროცესი მთლიანად ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს ახდენენ დავალების მოდიფიცირებას.დიფერენცირებული სწავლება გათვალისწინებულია სასკოლო აქტივობებში, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც აძლევს მოსწავლეებს კარგ შესაძლებლობას წარმოაჩინონ თავიანთი უნარები. სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე, კურიკულუმის მოდიფიცირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები, მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია სავალდებული თემის, სამიზნე ცნების, კომპლექსური დავალებების იდეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დონეზე, მაგრამ მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს აქვთ მზაობა ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების ადაპტირებას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას, მრავალფეროვანი რესურსების შეთავაზებას, რადგან მნიშვნელოვანია რომ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების უზრუნველსაყოფად სასკოლო გარემო განიხილებოდეს მოსწავლის მხარდამჭერ ორგანიზებულ სივრცედ, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის საჭიროებები, შესაძლებლობები, ინტერესები და ხელი შეეწყობა მის პროგრესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები -მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრის მიერ განხილული და გაანალიზებული იქნა ელექტრონული რესურსები კლასებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, რაც შემდგომში ჩაშენდა კურიკულუმებში. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შემუშავებული კურიკულუმებში კარგად ჩანს როგორ მიმდინარებს პროცესი კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, როგორც ინტერვიუდან გაირკვა კურიკულუმებში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა-კათედრის თანამშრომელთან, კერძოდ მუსიკის პედაგოგთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს კარგად აქვს გააზრებული დიფერენცირებული სწავლების პრინციპები, რაც გამოჩნდა მის მიერ მოყვანილ, საინტერესო და კრეატიულ მაგალითებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი -ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება. განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები, რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

4. სახელმწიფო ენა -წარმოდგენილია შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების წარმოების წესზე. ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკის შექმნის გამოცდილება, შექმნილი რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე, კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი გახდა ვიზიტის დროს, სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - დაწყებით საფეხურზე, სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებს. კერძოდ, განმსაზღვრელ შეფასებას იყენებს მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში. განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებლები იყენებენ პოზიტიურ სიტყვიერ შეფასებას, რათა მოსწავლეებს საფეხურზე განუმტკიცონ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. შეფასების დროს წინა პლანზე აყენებენ მოსწავალის საუკეთესო მიღწევებს, ფრთხილად მივუთითებენ ნაკლოვანებაზე და სახავენ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზას. მოსწავლეებს ასევე აძლევენ ზეპირი თვითშეფასების საშუალებას, ასევე აფასებენ ერთმანეთს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - წარმოდგენილი აქვთ შეფასების რუბრიკები. სკოლა იყენებს განმსზაღვრელი შეფასების I მოდელს . მიმდინარე წელს აპირებენ შეფასების რუნრიკები მოარგონ იმ კომპლექსურ დავალებებს რომლებიც წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმში. უნდა აღინშნოს, რომ აპირებენ სადიაგნოსტიკო შეფასების მეორე ინსტრუმენტის გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -კათედრასთან გასაუბრების დროს კათედრის ხელმძღვანელმა წარმოადგინა შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების წარმოების წესზე. ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკის შექმნის გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი გახდა ვიზიტის დროს, სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს, ნიმუშის სახით წარმოდგენილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ერთი განმავითარებელი და ერთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ შემდეგი სასწავლო წლისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების შედგენა განმავითარებელი სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელის სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგების მიერ იგეგმება თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება განმავითარებელი შეფასების არსის გაგებისა და გამოყენების თვალსაზრისით, დოკუმენტაციაში არის თითო ნიმუში. მომავალ სასწავლო წელსაც, პედაგოგები გეგმავენ მოსწავლეთა ცოდნის შეფასება მოახდინონ დონეების მიხედვით, მათი შედეგებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას არჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში ანხორციელებს განმავითარებელ შეფასებას. ესთეტიკური აღზრდის კათედრამ გადმოაგზავნა მუსიკის შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. მკაფიოდ არის გამოკვეთილი ის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომლის დამუშავებაც ხდება კონკრეტული თემის თუ აქტივობის დროს. იმედს ვიტოვებ, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგის აყვანის შემდეგ აღნიშნულ საგანშიც შემუშავდება შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი -კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

5. სახელმწიფო ენა -კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მასწავლებლებმა ყურადღება გაამახვილეს ურთიერთდასწრებაზე, რაც ეხმარებოდათ სწავლა-სწავლების ძლიერი და გასაუმჯობესებლი მხარეების გამოკვეთაში. სკოლას აქვს მზაობა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმოს სასწავლო პროცესი და განახორციელოს ცვლილებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - დაგეგმვის პროცესში დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, ისინი ინიშნავენ იმ აქტივობებსა და მეთოდებს, რომლებმაც კარგად იმუშავა. სამუშაო შეხვედრებზე ისინი მსჯელობენ, განიხილავე,ნ მოსწავლეთა რომლმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მათი მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ და შესაბამისად, გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მასწავლებელი ყოველი ახალი გაკვეთილის დაგეგმვისას ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის წინარე ცოდნას, რაც ხელს უწყობს ახალი გაკვეთილის უკეთ დაგეგმვას. ამის გასაგებად მასწავლებლები იყენებენ გამოკითხვის მეთოდს, შესასვლელ ბარათს, რაც მათ აძლევს იმის საშუალებას, რომ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით დაიგეგმოს ახალი გაკვეთილი. მასწავლებელთა რეფლექსიებზე დაყრდნობით და წარმატებული გამოცდილების კათედრაზე გაზიარებით მოხდება კურიკულუმის გადამუშავება და საუკეთესო ვერსიის მიღება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მასწავლებლებმა ყურადღება გაამახვილეს ურთიერთდასწრებაზე, რაც ეხმარებოდათ სწავლა-სწავლების ძლიერი და გასაუმჯობესებლი მხარეების გამოკვეთაში. სკოლას აქვს მზაობა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმოს სასწავლო პროცესი და განახორციელოს ცვლილებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -კათედრის დაწყებით საფეხურზე სასწავლო წლის დაგეგმვის პროსესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას,კერძოდ სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებზე, აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებს სადაც უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს ასახავენ, რადგან სასურველია კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღება მიექცეს სწავლა სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, გამოწვევებს და შეფასება მოხდეს სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით. ეს იქნება მასწავლებლის ფორტფოლიო, თუ მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ტექნოლოგიები - როგორც გასაუბრებიდან გაირკვა, მიუხედავად იმისა რომ საგანი მხოლოდ ერთი წელია ისწავლება, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილების ანალიზი. შეცვალეს ან გაამრავალფეროვნეს წინა წლებში განხორციელებული კომპლექსურ დავალებები. კურიკულუმიდან ჩანს რომ მასწავლებელი აქტიურად იყენებს კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისთვის განკუთვნილ school.emis.ge რესურსს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესტეტიკური აღზრდა -ინტერვიუს დროს მუსიკის მასწავლებლმა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და ანალიზს უკეთებენ უკვე განხორციელებულ სასწავლო პროცესს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წინარე გამოცდილება, ასევე განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი გათვალისწინებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში მაფიქრებინებს, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;**
- **პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;**
- **კომპლექსური დავალების ნიმუშები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები, რაც იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას, I-IV კლასის კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილი თემები, კომპლექსური დავალებები თავისი ფორმითა და შინაარსით ორიენტირებულია მოსწავლეზე და მოითხოვს მათ აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში გამოკვეთილია, რომ ამ პროცესის გასააქტიურებლად დაწყებით საფეხურზე იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს: ვიდეორესურსებს, ანიმაციურ ფილმებს, სხვადასხვა ტიპის შესასვლელ ბარათებს, სადაც მოსწავლე თავისი მოლოდინების შესახებ წერს და აქტიურად ერთვება საგაკვეთილი პროცესში. შემოქმედებითობის გამოვლენა სასწავლო პროცესში ხდება: ოლიმპიადებზე, კომიქსების, პროექტის ტიპის დავალებების, პოსტერის, კომპლექსური ტიპის დავალებების შესრულებისას ჩამოყალიბდა მკითხველთა და პატარა მსახიობთა კლუბები. მოსწავლეებმა მათემატიკის გაკვეთილზე კომპლექსური დავალების შესრულებისას არჩევანის მიხედვით დაამზადეს სკვერის მაკეტი სხვადასხვა მასალისაგან, გამოიყენეს პლასტელინი, ჩხირები, მავთული, რამდენიმე მოსწავლემ ფიგურების ნახატები წარმოადგინა. სხვადასხვა მასალის ან ფორმის გამოყენების არჩევანი მოსწავლეებს უადვილებთ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შექმნას ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა გამოკვეთეს, რომ აქტივობები რომელსაც კომპლექსური დავალებები მოაიზრებს ეხმარება მათ მოსწავლეებს განავითარონ გაანალიზების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების უნარები. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს დაწყებით საფეხურზე, პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებული ძლიერი მოტივაციისა და აქტიური ჩართულობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ტექნოლოგიების პედაგოგთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოსწავლეები სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამების საშუალებით ქმნიან საინტერესო რესურსებს. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება. მუსიკის პედაგოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩაბმულნი არიან შემოქმედებით პროცესში, მონაწილეობენ სასკოლო ზეიმებში, ატარებენ სხვადასხვა ტიპის კონცერტებს. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში გამოკვეთილია, რომ წინა წელს სკოლა აქტიურად არ ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს, თუმცა მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით იყენებდა ,,გონებრივ იერიშს“ და სხვა მეთოდებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს კარგად ესმით კონსტრუქტივისტული პარადიგმის ხუთივე პრინციპის მნიშვნელობა და 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. ამ ეტაპზე სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად აქვს გამოკვეთილი დაწყებითი საფეხურის თითოეული კლასისთვის არსებული თემატური ბლოკები, რომლებიც მოსწავლეებში იწვევს ინტერესს და იძლევა საშუალებას ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომდევნო წლის კურიკულუმები კიდევ უფრო დაიხვეწოს, სრულად გააზრებული და გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა წინარე გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც თავის მხრივ, განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ, კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს დამაფიქრებელ, მეტაკოგნიტურ კითხვებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლემ შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და განსაზღვროს სამომავლო გეგმები. სკოლის თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სწავლის სწავლების პროცესში, დაწყებით საფეხურზე გამოყენებულია სხვადასხვა სტრატეგიები: წერის, კითხვის, ინფორმაციის ორგანიზების, დამუშავებისა და შეჯამების. (თვითშეფასებისა და გასასვლელი ბილეთის საშუალებით). ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა გამოკვეთეს ტენდენცია, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს გაიაზრონ საკუთარი სისუსტეები და გასააზრებლად იყენებენ დამაზუსტებელ შეკითხვებსა და კომენტარებს. ასევე გამოთქვეს განხორციელებული პრაქტიკა და მზაობა, გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა წაახალისონ მათი ჩართულობა პროცესში ტექნოლოგიების პედაგოგმა აღნიშნა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

პროცესში კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. კურიკულუმიდან ჩანს, რომ რესურსებად გამოყენებულია ვიდეო თუთორიალები, ელექტრონული რესურსები. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ დავალებებზე, რაც მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, ალგორითმის შექმნასა და მოსაზრებების შეჯერებას, საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში, სხვა საგნობრივ დისციპლინაში ცოდნის ტრანსფერის გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლე ჩართულია ისეთ სასწავლო აქტივობებში, რომელიც მისგან მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ გააზრებასა და პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებას. მათ ნარატივს ადასტურებს განხორციელებული თუ დაგეგმილი პროექტები, მაგ. სახელმწიფო ენაში (,,გაზაფხული და დედა", ,,ფესვები) და კომპლექსური დავალების პირობები, რომლებშიც იკითხება, რომ მოსწავლეს უწევს, ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება, ასევე მსჯელობა და ანალიზი, საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება. მაგ. მათემატიკაში ,,დაეხმარეთ წითელქუდას ბებიის გადარჩენაში". მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. კათედრა გამოხატავს მზაობას, რომ იყოს ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე. *გამონაკლისია ესთეტიკური აღზრდის კათედრა, სადაც სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში არ იყო გაწერილი საკითხები, რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში. შესაბამისად, ვერ ხერხდებოდა შეფასება იმისა, თუ რამდენად ორიენტირებულია სასწავლო პროცესი ცოდნის სამ კატეგორიაზე.*

სკოლამ ამასთან დაკავშირებით, ვიზიტის შემდგომ, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, კურიკულუმის ახალი ჩარჩოები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. განახლებულ ჩარჩოებში გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რაც თავისთავად უბიძგებს სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მაგალითად, V კლასში მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსურ დავალებას: „შენთვის სასურველი მასალის და ტექნიკის გამოყენებით შექმენი/გააფორმე სასაჩუქრე ნაკრები, რომელშიც სამი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშს მოათავსებ ან შექმენი სამი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში შენი ოთახისთვის და ეს ნივთები რაიმე მხატვრული მახასიათებლით დააკავშირე ერთმანეთთან ".

<u>ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

5. საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებები, გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და არის ამავდროულად ის მთავარი კომპონენტი, რომელიც იძლევა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერდაკავშირების შესაძლებლობას. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით: ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად, მათემატიკაში ,,საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობა''. აღნიშნული დავალებაში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სწორედ ის საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწვავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს. მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ გეგმავენ კომპლექსური დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმების გათვალისწინებით და უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება ურთიერთდაკავშირებას, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. *გამონაკლისია ესთეტიკური აღზრდის კათედრა, სადაც სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი ხელოვნების სრულფასოვნად შევსებული კურიკულუმები და არ იკვეთებოდა, რამდენად იყო უზრუნველყოფილი ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.*

სკოლამ ამასთან დაკავშირებით, ვიზიტის შემდგომ, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, კურიკულუმის ახალი ჩარჩოები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიდან და შესაბამისი რესურსებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

აქედან გამომდინარე, <u>ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლის თვითშეფასების ფორმა;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. ავტორიზაციის განაცხადში იკითხება, რომ მათ სასწავლო პროცესი დაგეგმეს საგნობრივი სტანდარტებით შედგენილი კურიკულუმებით, რაც ხელს უწყობს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კომპლექსურ დავალებები აირჩიეს და დაგეგმეს ისე რომ სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები კარგად იყო გააზრებული. დაწყებითი საფეხურის წლის კურიკულუმში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზანი - სამიზნე ცნებები და საგნობრივი საკითხები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური მიზანი ამთლიანებს პროცესს. მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების ყველა ეტაპი მიემართება მკვიდრ წარმოდგენას. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ავტორიზაციის განაცხადში იკითხება რომ, სწავლა მოსწავლის პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესია, საგნობრივ კურიკულუმებს და სადამრიგებლო პროგრამებს ადგენენ იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო სოციალურ განვითარებას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე მორგებული თანასწორუფლებიანი გარემო. გასაუბრებისას გაირკვა რომ, მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს: ვიდეორგოლების და ვიდეოფილმების ჩვენებას, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. ასევე, გამოიყენება ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კათედრების, დამრიგებლების ანგარიშიდან ირკვევა რომ, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ მასწავლებლები მოტივირებული არიან ხელი შეუწყონ მოსწავლეს ცოდნისა და უნარების განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება, კონსტრუქციული უკუკავშირები, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში. მასწავლებლების მიერ გაკეთებული კომენტარებით მშობელი სწავლის მიმდინარეობისას და ასევე სემესტრის ბოლოს იღებს ისეთ ინფორმააციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერებაში ეხმარება, მათ წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ახალ სასწავლო წელს სკოლა შეიმუშვებს განმავითარებელი შეფასების ახალ რუბრიკებს. კომპლექსური დავალების ფორმაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ შეფასების ინსტრუმენტად შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, თვითშეფასების სქემებს, რომელიც ჩაშენებულია სამუშაო რვეულებში. ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. <u>აღნიშნავენ</u> მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობას; შესაბამისად, გამოხატეს მზაობა იმუშაონ ამ პრინციპით და გაამახვილონ ყურადღება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს და ახალი სასწავლო წლისთვისაც არჩეულია განმსაზღვრელი შეფასების სისტემის პირველი მოდელი და განმავითარებელი შეფასება. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აპირებენ სასწავლო წლის მიმდინარეობისას შეადგინონ განმსაზღვრელი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ექსპერტების მიერ მოწოდებული ნიმუშების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას შემუსავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) პროცესის ვერიფიკაცია;

გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

კათედრების წევრებს აქვთ მზაობა ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა-განვითარებაზე, როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება, თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწვალების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად. მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა, რომ შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელზსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუქნციურ კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღწერილია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლაში თითოეული დოკუმენტი, რომელიც ეხება მოსწავლის პირად საქმეს, შეფასებებს განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. რაც შეეხება მოსწავლეების ნაშრომებს, შემაჯამებლებს, პროექტებს, ზედმიწევნით არ ინახება, მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან შემუშავდება მექანიზმი: გამოიყოფა ადგილი, სადაც დასაწყობდება აღნიშნული დოკუმენტაცია, აგრეთვე სკოლის დირექციიდან გამოიყოფა ერთი პირი,რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ დოკუმენტაციის შენახვაზე. ყველა დოკუმენტი მტკიცებულებების მიზნით შეინახება არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი,
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი,
- მასწავლებლის პორტფოლიო,
- მე-5 კლასის შემაჯამებელი ინგლისური ენა,
- პროექტი „საუკეთესო დედიკოებს“,
- თვითრეფლექსია მასწავლებლის,
- კომპლექსური ტიპის დავალება(დაწყებითი),
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის. წახალისებულია მოქმედების თავისუფლება და სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა სკოლის განვითარებაში. მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ ქცევის წესებს, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს სკოლაში ადაპტაციის პერიოდი. გამომდინარე იქიდან რომ სკოლა არის მცირე კონტიგენტიანი ხშირად იგეგმება და ტარდება ერთობლივი აქტივობები და ღონისძიებები სხვადასხვა თემებზე, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი და ხდება მათი წახალისება. ყოველივე აღნიშნული წარმოაჩენს სკოლის და კათედრების მზაობას ამ მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, განხორციელებული თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაგეგმილი პროექტები("ჩვენი ყანჩელი", "ოკუპაციის დღიური", "არა ძალადობას!" ენა, მამული სარწმუნოება," ,,ჩვენი ფესვები") და სხვა, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს.აძლევენ მათ არჩევანის შესაძლებლობას, სთავაზობენ ინტერესების შესაბამის დავალებებს. ეს ყოველივე კარგი საფუძველი იმისა, რომ გარემო იყოს პოზიტიური და მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ მაღალია თანამშრომლობითი კულტურა, როგორც აღნიშნეს ინტენსიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებზე. სკოლის პრაქტიკაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი. ურთიერთდასწრებისას პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებასა და აძლევენ რჩევებს. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლობით შემუშავებულ კურიკულუმები და შეფასების სქემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შესაბამის კრიტერიუმებს, ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წახალისების საშუალებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობასა და სკოლაში არსებულ კეთილგანწყობილ, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი,
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმ,ა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი,
- ეტალონის ლინკი,
- მე-6 კლასის შემაჯამებელი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- **პროექტი „ჩვენი ყანჩელი“,**
- **ექსკურსია „ფარდის მიღმა“,**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთა ინტერვიუდან ირკვევა, რომ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოკვეთა, რაც ორიენტირებულია მოსწავლე-მასწავლებელთა მხარდაჭერაზე. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ასევე მასწავლებლებს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, შეუძლით შეაფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში გამოკვეთილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ერთ-ერთ საჭიროებად. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში გამოკვეთილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; პრობლემების იდენტიფიცირებას, წარმატების გაზომვასა და შეცდომების გააზრებას. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სკოლის მენეჯმენტის გუნდს და სასკოლო საზოგადოებას უბიძგებს მეტი ჩართულობისკენ, პასუხისმგებლობის განაწილებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას გამოკვეთილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავა პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახა სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორის და კათედრის ხელმძღვანელის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც მასწავლებლებს ეძლევათ უკუკავშირი. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებასაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე ხორციელდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რომ პედაგოგები თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწ. წ,
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწ. წ,
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი,
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს მიმართავენ კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), სკოლაში პერიოდულად იმართება კლასში შემსვლელ მასწავლებლებთა შეხვედრები, რომლებიც მსჯელობენ მოსწავლეების მიღწევებზე, ძლიერ და სუსტ მხარებზე და სახავენ სამომავლო გეგმებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლა ითვალისწინებს, შეფასებისას ხედვის პერსპექტივის მნიშვნელობას, რომ საჭიროა მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ირკვევა, რომ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ სიტუაციაში იქნება საჭირო. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თითოეულ მოსწავლეზე სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების შესწავლა სხვადასხვა კონტექსტში და დადგენა თუ რა მიმართულებით არიან ძლიერნი და რაში სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა. კათედრას აქვს მზაობა, სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან ერთად შეიმუშავოს მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები. სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით სხვადასხვა კონტექსტში დააკვირდეს პროცესებს, მოსწავლეთა ჩართულობას, სწავლების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. ძირითადად იყენებენ ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუსა და ტესტირებას. დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სკოლა შეფასებისას იყენებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მულტიფაქტორული მიდგომას, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწ. წ.,**
- **საგნობრივი კურიკულუმები,**
- **განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. მათ აღნიშნეს, რომ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომავალი წლის კურიკულუმის დასახვეწად. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის გაითვალისწინებენ დაკვირვების შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას, ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე დაგეგმილი აქვთ ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისი აქტივობები, შექმნილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები და შესაბამისი შეფასების სქემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწ. წ,**
- **საგნობრივი კურიკულუმები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>საბაზო საფეხური</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **<u>საბაზო საფეხური</u>**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სასკოლო კურიკულუმის აგების მეთოდოლოგია (გვ.40). დოკუმენტში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს: ა) კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, ბ) პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, გ) კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა. აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში გამოკვეთილია, რომ საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შედგენა მოხდა მშობელთა და მოსწავლეთა ,,სურვილების ყუთი"-თ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მშობელთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა პრიორიტეტებს, რასაც ძირითადად ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად, ასევე მშობელთა უკუკავშირით, რაც დაწყებით საფეხურზე თითქმის ყოველდღიურად ხდება. სასწავლო წლის დასრულებისას დაწყებითის კათედრა განიხილავს მიღწეულ შედეგებს. მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დაგეგმეს ახალი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. კათედრის წევრები იკრიბებიან და ერთად ჯერდებიან მომდევნო წლის კურიკულუმზე. **ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის ანალიზში აღნიშნულია, რომ ყველა აქტივობას, პროექტსა თუ ღონისძიებას სკოლა გეგმავს და ახორციელებს ყველა რგოლის ჩართულობით, რომ დაწყებით საფეხურზე კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან ხდება კომუნიკაცია მშობლებთან და იკვეთება მათი ინტერესები და მოლოდინები. სკოლა ახდენს აღნიშნულის გათვალისწინებას სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმებულად. 2023-2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში **(სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება, მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში)** გაწერილია ამ მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები, გაზიარებულ იქნა გასული წლების გამოცდილება და პრაქტიკა. შემუშავებულია კითხვარები (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლინების, სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შეფასების და მომავალი სასწავლო წლისთვის სასურველი ცვლილებების განხორციელების მიზნით. **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით კერძოდ, საგნობრივ კათედრებზე. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის ცალ-ცალკე (დაწყებითი, საბაზო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო საათს. ასევე მკაფიოდაა აღნიშნული, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ინტერვიუს პროცესში რესპოდენტებმა ისაუბრეს თუ რის მიხედვით ასახეს კურიკულუმში მოსწავლეების ინტერესები, აღნიშნეს რომ მათ მუდმივად აქვთ მოსწავლეებთან კომუნიკაცია, იყენებენ ინტერესთა კითხვარს, სადაც მოსწავლეები აფიქსირებენ თუ რა მოსწონთ, რა ინტერესები აქვთ მაგალითად, უგზავნიან მათ კომპლექსური დავალების ბარათებს. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების მიხედვით ქმნიან კლუბებს, წრეებს, გეგმავენ სასკოლო პროექტებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და მეტად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა პროცესში საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას ყოველდღიურად ხდება მოსწავლეებისაგან უკუკავშირის მიღება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის ანალიზში აღნიშნულია, რომ სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის დასასრულს ჩაატარა სამეურვეო საბჭოს და მოსწავლეთა მშობლების გაერთიანებული კრება, სადაც მშობლებს მასწავლებლებმა გააცნეს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის სამუშაო ვერსია და მიიღეს უკუკავშირი, რომელიც ასახულია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ატიურად ჩართულობის მიზნით გაერთიანებულ კრებაზე გადაწყდა შექმნილიყო მშობელთა მხარდაჭერის ჯგუფი, სადაც ფარული კენჭისყრით აირჩა 4 მშობელი დაწყებითი და საბაზო საფეხურიდან. სამომავლოდ, პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მშობელთა მხარდაჭერის ჯგუფი აქტიურად ჩაერთვება სასკოლო პროცესებში მთელი წლის მანძილზე, როგორიც იქნება კვლევებში მონაწილეობა/ არაფორმალური აქტივობები. სკოლა მოახდენს სკოლის საჭიროების კვლევას მშობელთა ჩართულობაზე სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის დამტკიცების პროცესი მოიცავს შეთანხმებას სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებას პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას მის საბოლოო ვარიანტის შექმნაში. ***სკოლას მიეცა რჩევა: სახვით და გამოყენიბით ხელოვნებაში, პედაგოგის აყვანის შემდეგ, კურიკულუმის ჩარჩოების შემუშავებისას სკოლამ გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები და უზრუნველყოს მათი ჩართულობა.***
ინდიკატორი 2.1.1.3 . დაკმაყოფილებულია.

4.სასკოლო კურიკულუმის გაზიარება განხორციელდა სტრუქტურული ერთეულების, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის შეხვედრებზე, სკოლის დამრიგბლების, საგნობრივი მასწავლებლების მშობლებთან შეხვედრებზე. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები: სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული, ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ამ ეტაპისთვის სკოლაში არსებული საინფორმაციო დაფა, სადაც ხდება ინფორმაციის გავრცელება, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. სამომავლოდ სკოლა აპირებს შექმნას ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც მოხდება კურიკულუმის გაზიარება. სკოლას გააზრებული აქვს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით როგორ მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება.
ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია 2023-2024 სასწ/წელი,
- სამოქმედო გეგმა 2023-2024,
- სამეურვეო საბჭოს და მოსწავლეთა მშობლების გაერთიანებული კრების ოქმი, 2023 წლის 16 მაისი,
- საგნობრივი კურიკულუმები,
- კომპლექსური დავალების ნიმუშები,
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სახელმწიფო ენა - საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება შერჩეული ომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლეების ნამუშევრებს მთელი წლის მანძილზე, აანალიზებენ ნამუშევრებს საფეხურის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. კომპლექსური დავალებების პირობაში ყოველთვის ითვალისწინებენ სხვადასხვა მზაობის მოსწავლეების შესაძლებლობებს, აძლევენ მათ საშუალებას რომ შესაქმნელი პროდუქტი იმ საშაუალებებით წარმოადგინონ, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომია: ნახატით, აპლიკაცია, მაკეტით. მასწავლებლების დამოკიდებულებები ყოველთვის არის პოზიტიური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცდილობენ წაახალისონ მოსწავლეთა ნებისმიერი, თუნდაც მცირე აქტივობა, მივცენ მათ სტიმული და გავუღვიონ ინტერესი მომავალი სამუშაოსადმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. წარმოდგენილი კათედრის ოქმიდან იკვეთება, რომ მასწავლებლები გადიან სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგებს, ახორციელებენ ურთიერთდასწრებას და აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, წარმოდგენილი მასალების გარდა, ინტერვიუს შედეგად უცხო ენების კათედრასთან გამოიკვეთა, რომ მათ სწორად აქვთ გაგებული კომპლექსური დავალების არსი და კურიკულუმის აგების პრინციპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საბაზო საფეხურის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა წინარე გამოცდილებას . მკაფიოდაა განსაზღვრული საბაზო საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ორიენტირებულია სწორედ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. წარმოდგენილი კათედრის ოქმებიდან იკვეთება რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ხდება ურთიერთგანხილვა და საბოლოო შეჯერება. გათვალისწინებულია როგორც მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ასევე ინდივიდუალური საჭიროებები. როგორც არსებული მასალების საფუძველზე, ასევე ინტერვიუს შედეგად საბუნებისმეტყველო კათედრასთან ვფიქრობ, რომ სწორად აქვთ გაგებული კომპლექსური დავალების იდეა, არსობრივი მახასიათებლები და კურიკულუმების აგების პრინციპები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლის დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. სამივე საგნის კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახთ). წარმოდგენილ კურიკულუმში ასახული საკითხთა კლასტერები, კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და მათთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტერესის და ცნობისმოყვარეობის აღძვრას, შემოქმედებითობის უნარის განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და მოსწავლეს შეუქმნის ავტონომიურობის განცდას, მას დასჭირდება ძალისხმევა გაიღოს რათა შედეგს მიაღწიოს, რაც გამოიწვევს მოსწავლეთა ემოციურ კმაყოფილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური აღზრდის კათედრამ წარმოადგინა მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები. მუსიკის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოდგენილია თემატური ბლოკების მიხედვით თემები, თემებთან დაკავშირებული საკითხი, გამოყოფილია სამიზნე ცნეები და ის ქვეცნებები, რომელიბიც მუშავდება საკითხთან და თემასთან მიმართები. მუსიკის პედაგოგთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევა ამჟამად მიმდინარეობს, შერჩეული დავალებები ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ყველა კლასის კომპლექსური დავალება გულისხმობს სასკოლო ფესტივალის ჩატარებას სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. ასევე კედლის გაზეთის, ბუკლეტის მომზადება და საკუთარი ნაშრომის პრეზენტაციას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სახელმწიფო ენა - კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, შესაბამისად კონტექსტ-მაგალითები, საკითხები და ზოგიერთისთვის სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. გასაუბრებისას გამოიკვათა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. სანიმუშოდ მოცემული დავალებებიდან, წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამიდან, პროექტებიდან („ენა, მამული, სარწმუნოება“, „ საახალწლო ზღაპარი“, ,,ფესვები“, „ერთი ცის ქვეშ“) ჩანს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განგანვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- დაწყებით საფეხურზე, მათემატიკაში, კურიკულუმი მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია , მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. ყველა კომპლექსური დავალება დაფუძნებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე, მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა თავისი უნარების და შესაძლებლობების ფარგლებში, შემოქმედებიდათ შექმნას და წარმოადგინოს შესასრულებელი სამუშაო; მოსწავლემ კომპლექსური დავალების წარმოდგენისათვის უნდა განივითაროს კომუნიკაციის უნარები, ასევე ითანამშრომლოს კლასელებთან, თანაგუნდელებთან, მეწყვილესთან. კომპლექსური დავალების პირობა და მასწავლებლის დეტალური ინსტრუქციები აძლევს მოსწავლეს საშუალებას დავალებაზე მუშაობის დროს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარების გზით ცნობიერებაში დაიმკვიდროს ის მკვიდრი წარმოდგენები, რომელთაც სთავაზობს მასწავლებელი კომპლექსური დავალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-კურიკულუმები და საგნობრივი პროგრამები ითვალისწინებს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ინტერესებს, მათ საჭიროებებს, რომლებიც მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისაკენ. იმისათვის, რომ საგნობრივი ცოდნა დამუშავდეს შესაბამისი სტანდარტების მიხედვით, კურიკულუმებში ჩანდეს ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ასახავენ შუალედურ მიზნებს და მოსწავლე ეტაპობრივად დაფარავს ე.ს.გ-ით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კათედრა ერთვება არაფორმალურ განათლების საკიღხებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძვნება კონსტრუქტივისტულ ხუთ საგანმანათლებლო პრინციპს. კურიკულუმი და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, აქტივობები მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ორიენტირებულია გლობალურ, ფუქნციური კომპონენტური უნარების განვითარებისაკენ. ჩანს შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის მექანიზმებს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და აგებულია სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცნება და შედეგი. (ამ მხრივ კურიკულუმში შეინიშნება მცირეოდენი გამოწვევები, თუმცა მთლიანი სურათის აღქმას ხელს არ უშლის. მაგ. სავალდებულო თემის ფარგლებში არის შემთხვევები, რომ გამოტოვებულია სამიზნე ცნება, მაგრამ მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ჩაასწორებენ) კურიკულუმში ასახული საგნობრივი საკითხები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებები იძლევა საფუძველს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურების, რადგან თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მუსიკის პედაგოგს ნათლად აქვს გამოკვეთილი გრძელვადიანი მიზნები და მისკენ მისასვლელი შუალედური მიზნები კომპლექსური დავალებებისა და პროექტების სახით. კარგად ჩანს ის ნაბიჯები, რომლებიც ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების, მაკრო ცნებების, სამიზნე ცნებებს დამუშავებას. პედაგოგთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა გრძელვადიან მიზნების მიღწევის სტრატეგია და მეთოდოლოგია, პედაგოგი ამუშავებს კომპლექსური დავალებების პირობებს, სადაც გამოკვეთს იმ შუალედურ მიზნებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა გათვლილი.
ხარვეზი: *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში სურათი არაერთგვაროვანია, კერძოდ VII კლასში წარმოდგენილია გამომცემლობა ,,კლიოს" სახელმძღვანელოს მიხედვით შედგენილი კურიკულუმი, თუმცა მეხუთე თემად გაწერილია გამომცემლობა ,,დიოგენეს" სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თემა, რომელიც ქოუჩინგის პროცესში თვალსაჩინო მაგალითის სახით იყო წარმოდგენილი, გარდა ამისა,მეორე თემის საკითხი ბუნდოვანია და დუბლირებას უკეთებს პირველი თემის საკითხს, სადაც ასევე პეიზაჟზეა საუბარი. ქვეცნებები, მაგ, მეოთხე ქვეცნება სრულფასოვნად არ მოიცავს იმ ეპოქებს , რომელთა ნიმუშებიც მუშავდება თემაში, მეოთხე თემა ძველ სამყაროს ასახვას და შუა საუკუნეებს და მეოთხე ქვეცნებაში XVII-XXI საუკუნეებია მითითებული. ზოგადად, მეშვიდე კლასში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები კოპირებულია და არ უკავშირდება ყველა იმ შესასწავლ საკითხს, რომელიც მოცემულია კურიკულუმში. VIII კლასის კურიკულუმში- გაწერილია ოთხი თემა, აქედან ბოლო თემა გადმოტანილია მეშვიდე კლასის კურიკულუმიდან (გამომცემლობა ,,დიოგენე, კურიკულუმი გამომცემლობა ,,კლიოს" სახელმძღვანელოს მიხედვითაა შედგენილი), მეორე თემაში არ არის დასახელებული თემის სახელწოდება და გაურკვეველია რა თემის ფარგლებში მუშავდება წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხიც არ არის მითითებული.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და საბაზო საფეხურის ახალი კურიკულუმის ჩარჩოები, სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში. წარმოდგენილ VII-VIII-IX კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში იკვეთება ის ნაბიჯები, რომლებიც ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების, მაკრო ცნებების, სამიზნე ცნებების დამუშავებას.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. კურიკულუმების ჩარჩოები აჩვენებს, რომ სპორტის საგანი უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი.

<u>ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3. სახელმწიფო ენა სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალების მოდიფიცირებას ინკლუზიური მიდგომები გათვალისწინებულია სასკოლო აქტივობებში, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა საშუალება გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და უნარები. სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. კათედრას აქვს მზაობა, გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ ინკლუზიური მიდგომებს. მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებული აქვთ რამდენიმე არჩევანი, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მათ შეუძლიათ წარმოადგინონ დავალებები მათთვის მოსახერხებელი ფორმატით. ასევე მასწავლებლები ქმნიან ადაპტირებულ დავალებებს, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლოს მუშაობის პროცესში ჩართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უცხოური ენები - სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს რომ სკოლას აქვს პრაქტიკა გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. ასევე გასასვლელი ბარათების სხვადასხვა ტიპი. წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება სხვადასხვა სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროების გათვალისწინებას, სასწავლო პროცესს ხდის მრავალფეროვანს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომის პრინციპები. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს რომ სკოლას აქვს პრაქტიკა გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები (საშინაო დავალების, პრეზენტაციის, ექსპერიმენტის) საბაზო საფეხურზე არსებული კლასებისათვის წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება სხვადასხვა სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროების გათვალისწინებას, სასწავლო პროცესს ხდის მეტად სახალისოსა და საინტერესოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. რადგან სასწავლო პროცესი დაგეგმილია საფეხურეობრივი გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და გრძელვადიანი მიზნების განსხვავებულ კონტექსტებში გააქტიურების საშუალებას იძლევა. მასწავლებლებს აქვთ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების გამოცდილება. კურიკულუმი მოსწავლეს ასევე სთავაზობს მრავალფეროვან იდეებს, კურიკულუმში თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით საკითხების შესწავლა ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ ცხოვრებისეულ კონტექსტებს, რაც წარმოადგენს საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესი და ინდივიდუალური შესაძლებლობები. კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში პროდუქტებში არჩევანის შესაძლებლობა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები ასევე იძლევა დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის თანამშრომელთან, კერძოდ მუსიკის პედაგოგთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს კარგად აქვს გააზრებული დიფერენცირებული სწავლების პრინციპები, რაც გამოჩნდა მის მიერ მოყვანილ, საინტერესო და კრეატიულ მაგალითებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება. განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები, რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სახელმწიფო ენა** -წარმოდგენილია შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების წარმოების წესზე. ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკის შექმნის გამოცდილება, შექმნილი რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს. ასევე, კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი გახდა ვიზიტის დროს, სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. ინდიკატორი შეესაბამება და აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- საბაზო საფეხურზე, სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებს. განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებლები იყენებენ პოზიტიურ სიტყვიერ შეფასებას, რათა მოსწავლეებს საფეხურზე განუმტკიცონ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. შეფასების დროს წინა პლანზე აყენებენ მოსწავალის საუკეთესო მიღწევებს, ფრთხილად მივუთითებენ ნაკლოვანებაზე და სახავენ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზას. მოსწავლეებს ასევე აძლევენ ზეპირი თვითშეფასების საშუალებას, ასევე აფასებენ ერთმანეთს. სკოლას წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ერთი ნიმუში. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ ყველა კლასისთვის შექმნან მსგავსი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, ჩართულობის რუბრიკა. რუბრიკები ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და უკუკავშირს მათზე დაყრდნობით იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბუნებისმეტყველო კათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს,ნიმუშის სახით წარმოდგენილია ერთი განმავითარებელი და ერთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ შემდეგი სასწავლო წლისთვის გეგმავენ შეფასებუს რუბრიკების შედგენას განმავითარებელი სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელის სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის თვითშეფასების კითხვარის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისაა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობით და სასკოლო სასწავლო გეგმით დასტურდება, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. ამ ეტაპზე კათერდრას შემუშავბული აქვს ერთი ნიმუში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე სასწავლო წლისთვის შეიმუშავენებ თემის ფარგლებში შეფასების განმავითარებელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას არჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. საბაზო საფეხურზე ახორციელებს, როგორც განმსაზღვრელ ასევე განმავითარებელ შეფასებას. ესთეტიკური აღზრდის კათედრამ გადმოაგზავნა მუსიკის შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. მკაფიოდ არის გამოკვეთილი ის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომლის დამუშავებაც ხდება კონკრეტული თემის თუ აქტივობის დროს. იმედს ვიტოვებ, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგის აყვანის შემდეგ აღნიშნულ საგანშიც შემუშავდება შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი -კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სახელმწიფო ენა -კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მასწავლებლებმა ყურადღება გაამახვილეს ურთიერთდასწრებაზე, რაც ეხმარებოდათ სწავლა-სწავლების ძლიერი და გასაუმჯობესებლი მხარეების გამოკვეთაში. სკოლას აქვს მზაობა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმოს სასწავლო პროცესი და განახორციელოს ცვლილებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - დაგეგმვის პროცესში საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, ისინი ინიშნავენ იმ აქტივობებსა და მეთოდებს, რომლებმაც კარგად იმუშავა. სამუშაო შეხვედრებზე, ისინი მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა რომლმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მათი მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ? და შესაბამისად, გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. წინარე გამოცდილების რეფლექსიის საფუძველზე იგეგმება კურიკულუმის გადამუშავება და გაუმჯობესება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის საბაზო საფეხურზე სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. კერძოდ, სამუშაო შეხვედრებზე ზეპირი სახით მსჯელობენ მასწავლებელთა რეფლექსიებზე აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებს სადაც უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს ასახავენ, რაგდან სასურველია კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღება მიექცეს სწავლა სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას გამოწვევებს და შეფასება მოხდეს სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. თვითშეფასების კითხვარის და ინტერვიურების თანახმად დაგეგმილია მომავალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა უკუკავშირისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის საფუძველზე მოხდეს კურიკულუმის გადამუშავება, ასევე კათედრის წევრებთან თანამშრომლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

იმუშავებენ თემატური მატრიცის განვითარებაზე საკუთარი პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე, კურიკულუმში კომპლექსური დავალებების იდეების სახით ასახულია მასწავლებელთა წინარე პრაქტიკული გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესტეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს მუსიკის მასწავლებლმა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და ანალიზს უკეთებენ უკვე განხორციელებულ სასწავლო პროცესს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წინარე გამოცდილება, ასევე განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი გათვალისწინებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში მაფიქრებინებს, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის განხორციელება
2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

6. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
7. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
8. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
9. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
10. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სახელმწიფო ენა -კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობაზე და მასწავლებლების მიერ მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს პროცესში ამისათვის მასწავლებლები იყენებენ ბარათებს, სადაც მოსწავლე თავისი მოლოდინების შესახებ წერს, რასაც ითვალისწინებენ შემდგომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კომპლექსური დავალებების პირობა/საჯარო სიტყვა საავტორო სკოლის გახსნაზე, მოთხრობის დაწერა, ანალიტიკური ესე, დისკუსია) ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის, არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, ფიქრი, მსჯელობა და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა. მოსწავლეებმა მათემატიკის გაკვეთილზე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას შეასრულეს ხარჯთაღრიცხვა, რომელიც წარმოადგინეს თვალსაჩინოდ ცხრილის საშუალებით, მათ იმსჯელეს, რომელი ვარიანტი უფრო ხელსაყრელი იყო. მათ ცხრილის წარმოდგენა შეეძლოთ სხვადასხვა სახით: კომპიუტერულ პროგრამაში, ფლიპჩარტზე, თაბახზე. სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფორმის გამოყენების არჩევანი მოსწავლეებს უადვილებთ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შექმნას. სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობისთვის სკოლაში ტარდება სხვადახვა პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა - უცხო ენების კათედრა საბაზო საფეხურზე ორივე უცხო ენაში გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა - სწავლების პროცესი, რაც განსაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. ხორციელდება ფორმალური თუ არაფორმალური აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა საბაზო საფეხურზე ფიზიკა, ქიმიასა და ბიოლოგიაში გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წელს შექმნას ეკოკლუბი, კლუბის წესდება და სამოქმედო გეგმა რადგან კლუბურ მუშაობაში ჩართულობა და სხვადასხვა პროდუქტების შექმნა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან ორიენტირებულია კომპლექსური (ბუნების) დვალებების განხორციელებაზე, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს შემოქმედებითი პროცესების და მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. სამივე საგნის კურიკულუმი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას ახდენს მრავალფეროვან საკითხებზე დაყრდნობით, ხოლო გეოგრაფიასა და ისტორიის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომლპლექსური ბუნების დავავლებები მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა რეალურ გარემოში წარმოიდგინოს საკუთარი თავი, რაც მას სწავლის პროცესის სუბიექტად წარმოაჩენს. მოსწავლეს ასევე აქვს შესაძლებლობა განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი პროდუქტები მაგ. დღიური, სტატია, ესე, ბუკლეტი, მაკეტი, კვლევის ანგარიში და სხვა მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს რომ მიმდინარე სასწავლო წელს გეგმავენ განახორციელონ კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მუსიკის პედაგოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩაბმულნი არიან შემოქმედებით პროცესში, მონაწილეობენ სასკოლო ზეიმებში, ატარებს სხვადასხვა ტიპის კონცერტებს. სახვით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

გამოყენებით ხელოვნებაში შემოქმედებით პროცესებზე მსჯელობა ძნელია, რადგან კურიკულუმის ჩარჩოები ფრაგმენტულია, კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია იდეის დონეზე და ბუნდოვანია. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა ხელოვნების მასწავლებელი. ვერ განხორციელდა ამ საკითხის სიღრმისეული მოკვლევა, ვერც დოკუმენტურად და ვერც ინტერვიუთი. ***სკოლას მიეცა რჩევა: დაგეგმოს პროცესები ისე, რომ კურიკულუმის ჩარჩოებში სრულფასოვნად და მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რამდენად ხდება მოსწავლეების ჩართვა შემოქმედებით პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - საგნობრივ ჩარჩოებში განხილული თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები (მაგ: პრეზენტაცია, სასკოლო ფესტივალი), აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დადგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. მაგალითად ბუკლეტის მომზადება, ლაშქრობის დაგეგმვა სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია დაახარისხოს და შექმნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქედებითობის გამოვლენას. მასწავლებელბმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, უქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემო,ს რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები აგებულია წინარე ცოდნის გათვალისწინებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, რაც კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილია თემები საკითხთა ტიპოლოგია, ქვესაკითხები. ჩანს სურვილი რათა სწავლა განხორციელდეს კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე. ინტერვიუს დროს პედაგოგეგბმა გააზიარეს თავიანთი ხედვა და გააჟღერეს, რომ სამომავლოდ აპირებენ იმუშაონ ერთობლივად კათედრაზე, გადახედონ და განახორციელონ ცვლილება, რაც შესაძლებლობას მისცემთ უფრო მეტად დახვეწონ წარმოდგენილი კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება საგნობრივი სტანტარტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური ბუნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალებებს, რომელიც, თავის მხრივ, განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ, კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს დამაფიქრებელ, მეტაკოგნიტურ კითხვებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლემ შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და განსაზღვროს სამომავლო გეგმები. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა გამოკვეთეს ტენდენცია, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს გაიაზრონ საკუთარი სისუსტეები და გასააზრებლად იყენებენ დამაზუსტებელ შეკითხვებსა და კომენტარებს. ასევე გამოთქვეს განხორციელებული პრაქტიკა და მზაობა, გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა წაახალისონ მათი ჩართულობა მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში, სხვა საგნობრივ დისციპლინაში ცოდნის ტრანსფერის გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლე ჩართულია ისეთ სასწავლო აქტივობებში, რომელიც მისგან მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ გააზრებასა და პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებას. მათ ნარატივს ადასტურებს განხორციელებული თუ დაგეგმილი პროექტები, მაგ. სახელმწიფო ენაში („გაზაფხული და დედა“, „ფესვები, eTwinning პროექტი საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათის "მედიაწიგნიერება და ჩვენ") და კომპლექსური დავალების პირობები, რომლებშიც იკითხება, რომ მოსწავლეს უწევს, ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება, ასევე მსჯელობა და ანალიზი, საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. კათედრები გამოხატავს მზაობას, რომ იყოს ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე. *გამონაკლისია ესთეტიკური აღზრდის კათედრა, სადაც სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში არ იყო გაწერილი საკითხები, რომელიც მუშავდება თემის ფარგლებში, შესაბამისად ვერ ხერხდებოდა შეფასება იმისა, თუ რამდენად ორიენტირებულია სასწავლო პროცესი ცოდნის სამ კატეგორიაზე.*

სკოლის მიერ მოგვიანებით, არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ახალ ჩარჩოებში გათვალისწინებულია ისეთი შემოქმედებითი კომპლექსური დავალებები, რაც თავისთავად უბიძგებს სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მაგალითად, VII კლასში მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსურ დავალებას: "შექმენი ნამუშევარი, რომელშიც ასახავ პრეისტორიულ პერიოდში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს. ნამუშევრის შესაქმნელად შეარჩიე შენთვის სასურველი ტექნიკა და ბუნებრივი მასალისგან დამზადებული სახატავი საშუალებები. ამბის თხრობისას გამოიყენე პრეისტორიული მხატვრობის სტილისთვის სახასიათო კომპოზიციური განაწილების ხერხები, გამოსახე ფიგურები მოძრაობაში, გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზები და ფორმები".

აქედან გამომდინარე, <u>ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და ამავდროულად ის არის მთავარი კომპონენტი, რომელიც იძლევა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერდაკავშირების შესაძლებლობას მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით (ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები). *გამონაკლისია ესთეტიკური აღზრდის კათედრა, სადაც სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სკოლას არ იყო წარმოდგენილი ხელოვნების სრულფასოვნად შევსებული კურიკულუმები და არ იკვეთებოდა, რამდენად იყო უზრუნველყოფილი ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.*

სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განახლებული ჩარჩოები. კომპლექსური დავალებებიდან და ჩარჩოში წარმოდგენილი შესაბამისი რესურსებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. აქედან გამომდინარე, <u>ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები,
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა,
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ,
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.,
- გასაუბრება მასწავლებლებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. ავტორიზაციის განაცხადში იკითხება, რომ მათ სასწავლო პროცესი დაგეგმეს საგნობრივი სტანდარტებით შედგენილი კურიკულუმებით, რაც ხელს უწყობს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კომპლექსურ დავალებები აირჩიეს და დაგეგმეს ისე, რომ სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები კარგად იყო გააზრებული. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზანი - სამიზნე ცნებები და საგნობრივი საკითხები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური მიზანი ამთლიანებს პროცესს. მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების ყველა ეტაპი მიემართება მკვიდრ წარმოდგენას. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ავტორიზაციის განაცხადში იკითხება რომ, სწავლა მოსწავლის პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესია, საგნობრივ კურიკულუმებს და სადამრიგებლო პროგრამებს ადგენენ იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო სოციალურ განვითარებას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე მორგებული თანასწორუფლებიანი გარემო. გასაუბრებისას გაირკვა რომ, მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს: ვიდეორგოლების და ვიდეოფილმების ჩვენებას, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. გარდა ასევე, გამოიყენება ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კათედრების, დამრიგებლების ანგარიშიდან ირკვევა რომ, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ მასწავლებლები მოტივირებული არიან ხელი შეუწყონ მოსწავლეს ცოდნისა და უნარებისა განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება, კონსტრუქციული უკუკავშირები, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში. მასწავლებლების მიერ გაკეთებული კომენტარებით მშობელი სწავლის მიმდინარეობისას და ასევე სემესტრის ბოლოს იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერებაში ეხმარება, მათ წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ახალ სასწავლო წელს სკოლა შეიმუშვებს განმავითარებელი შეფასების ახალ რუბრიკებს. კომპლექსური დავალების ფორმაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ შეფასების ინსტრუმენტად შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, თვითშეფასების სქემებს, რომელიც ჩაშენებულია სამუშაო რვეულებში. ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. აღნიშნავენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობას; შესაბამისად, გამოხატეს მზაობა იმუშაონ ამ პრინციპით და გაამახვილონ ყურადღება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს და ახალი სასწავლო წლისთვისაც არჩეულია განმსაზღვრელი შეფასების სისტემის პირველი მოდელი და განმავითარებელი შეფასება. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აპირებენ სასწავლო წლის მიმდინარეობისას შეადგინონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ექსპერტების მიერ მოწოდებული ნიმუშების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას შემუსავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ა) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; ბ) პროცესის ვერიფიკაცია; გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. კათედრების წევრებს აქვთ მზაობა ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა-განვითარებაზე, როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება, თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწვალების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად. მასწავლებლებს აქვთ სამომავლო ხედვა, რომ შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელბსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუქნციურ კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღწერილია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. სკოლაში თითოეული დოკუმენტი, რომელიც ეხება მოსწავლის პირად საქმეს, შეფასებებს განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. რაც შეეხება მოსწავლეების ნაშრომებს, შემაჯამებლებს, პროექტებს, ზედმიწევნით არ ინახება, მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან შემუშავდება მექანიზმი: გამოიყოფა ადგილი, სადაც დასაწყობდება აღნიშნული დოკუმენტაცია, აგრეთვე სკოლის დირექციიდან გამოიყოფა ერთი პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ დოკუმენტაციის შენახვაზე. ყველა დოკუმენტი მტკიცებულებების მიზნით შეინახება არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის. წახალისებულია მოქმედების თავისუფლება და სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა სკოლის განვითარებაში. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა არის მცირე კონტიგენტიანი ხშირად იგეგმება და ტარდება ერთობლივი აქტივობები და ღონისძიებები სხვადასხვა თემებზე, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი და ხდება მათი წახალისება. ყოველივე აღნიშნული წარმოაჩენს სკოლის და კათედრების მზაობას ამ მიმართულებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, განხორციელებული თუ დაგეგმილი პროექტები (ჩვენი ყანჩელი, "ოკუპაციის დღიური", "არა ძალადობას!" "ენა, მამული, სარწმუნოება," ,, ჩვენი ფესვები") და სხვა, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს.აძლევენ მათ არჩევანის შესაძლებლობას, სთავაზობენ ინტერესების შესაბამის დავალებებს. ეს ყოველივე კარგი საფუძველი იმისა, რომ გარემო იყოს პოზიტიური **და** მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ მაღალია თანამშრომლობითი კულტურა, როგორც აღნიშნეს ინტენსიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებზე. სკოლის პრაქტიკაში დანერგილია ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი. ურთიერთდასწრებისას პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

გამოცდილებასა და აძლევენ რჩევებს. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლობით შემუშავებული კურიკულუმები და შეფასების სქემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შესაბამის კრიტერიუმებს, ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წახალისების საშუალებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობასა და სკოლაში არსებულ კეთილგანწყობილ, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში განიხილავენ კომპლექსური ბუნების, შემაჯამებელ დავალებებს და აანალიზებენ მას. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეტწილად ამ ანალიზს ზეპირსიტყვიერი ხასიათი აქვს. პედაგოგები თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების და კათედრებზე მსჯელობის საფუძველზე გამოკვეთენ/ საჭიროებებს რასაც ითვალისწინებენ კურიკულუმის დაგეგმვისას. კათედრებზე აქვთ სწორი ხედვა ამ თვალსაზრით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ერთ-ერთ საჭიროებად. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში გამოკვეთილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; პრობლემების იდენტიფიცირებას, წარმატების გაზომვასა და შეცდომების გააზრებას. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სკოლის მენეჯმენტის გუნდს და სასკოლო საზოგადოებას უბიძგებს მეტი ჩართულობისკენ, პასუხისმგებლობის განაწილებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას გამოკვეთილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავა პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახა სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორის და კათედრის ხელმძღვანელის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც მასწავლებლებს ეძლევათ უკუკავშირი. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებასაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე ხორციელდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი რომ პედაგოგები თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- *სასკოლო სასწავლო გეგმა,*
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი,
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს მიმართავენ კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), სკოლაში პერიოდულად იმართება კლასში შემსვლელ მასწავლებლებთა შეხვედრები, რომლებიც მსჯელობენ მოსწავლეების მიღწევებზე, ძლიერ და სუსტ მხარებზე და სახავენ სამომავლო გეგმებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებელთა ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლა ითვალისწინებს შეფასებისას ხედვის პერსპექტივის მნიშვნელობას, რომ საჭიროა მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ირკვევა, რომ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ სიტუაციაში იქნება საჭირო. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თითოეულ მოსწავლეზე სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების შესწავლა სხვადასხვა კონტექსტში და დადგენა თუ რა მიმართულებით არიან ძლიერნი და რაში სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა. კათედრას აქვს მზაობა, სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან ერთად შეიმუშავოს მრავალფეროვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების მეთოდები. სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით სხვადასხვა კონტექსტში დააკვირდეს პროცესებს, მოსწავლეთა ჩართულობას, სწავლების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; ძირითადად იყენებენ ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუსა და ტესტირებას. დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ამას აგრეთვე ხელს უწყობს მშობლებთან, დამრიგებლებთან მჭიდრო კომუნიკაცია. სკოლის და კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა. ამ მიმართულებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, მათ აღნიშნეს, რომ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომავალი წლის კურიკულუმის დასახვეწად. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის გაიითვალისწინებენ დაკვირვების შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურზე, მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე დაგეგმილი აქვთ ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისი აქტივობები, შექმნილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები და შესაბამისი შეფასების სქემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **საგნობრივი კურიკულუმები;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნანა ედიშერაშვილი _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ირმა ამირანაშვილი _____

ეკატერინე გურგენაშვილი _____

გვანცა მოლაშვილი _____

მარიკა ბოცვაძე _____

ეკატერინე გავაშელიშვილი _____

ჟანა ბელქანია _____

თეა გაბისონია _____

თეონა აბრამიშვილი _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

საბა დარსაველიძე _____

ნინო მახარაშვილი _____

12.12.2023.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____